ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 4 ნოემბერი, 2021 №208 (8737) ფასი: 60 თეთრი

სალომე ზურაბიშვილი: „სააკაშვილს არასდროს შევინყალებ. ის განსაკუთრებული პატიმარია“

გვ.3

„მე როცა სააკაშვილს ვაკრიტიკებდი, მამუკა მდინარაძე პროკურატურასთან იყო შეკრული და ფულს აკეთებდა“

გვ.3

გედევან ფოფხაძე: „ქართულმა ოცნებამ“ სიტუაცია ბოლომდე ვერ დაალაგა, მკვეთრი კონფლიქტი მოუვიდათ გახარიას პარტიის წარმომადგენელთან“

ნინო ბურჯანაძე: „გამოსავალი ქუჩაა. ივანიშვილი სხვა გამოსავალს არ ტოვებს – თუ ოპოზიცია სწორად იმოქმედებს, ხალხი გარეთ გამოვა“

„პარლამენტში ყოფნას აზრი არ აქვს, საკონსტიტუციო ცვლილებები არ იქნება“

გვ.2

„ოცნება“ სააკაშვილს არაადამიანურად ეპყრობა“

გვ.2

გიორგი ვაშაძე: „არ მომწონს განცხადება, რომ არჩევნებს აზრი არა აქვს“

გვ.4

მამუკა ტუსკაძე: „საარჩევნო კამპანია ყველასთვის თანაბრად უნდა დაფინანსდეს“

„ხალხი ნაცრეჟიმის სიმწარეს არ დაივიწყებს“

გვ.3

მამუკა გვაძაბია: „სამეგრელოში არჩევნებზე ხელისუფლებას „ტყის ძმებისა“ და ჭაჭიას დაჯგუფება ეხმარებოდა“

გვ.4

ბჟანია ხალხს მოუწოდებს, საპროტესტო აქციაში მონაწილეობა არ მიიღოს

ISSN 1987-9385

5 ტაილანდელი ქალის მკვლელობაში ბრალდებული კალათბურთელი ვაჩე ცაკაშვილია

5 მეგის ქარდავამ პროტესტის ნიშნად სასამართლო დატოვა

6 რუსეთმა უკრაინის საზღვართან ახლოს სამხედრო ქვედანაყოფები დატოვა

5 ხაშურში მურთაზ მაჩხაშვილისა და დედამისის ცემას დაჩი ტაბატაძეს აბრალებენ

„პარლამენტში ყოფნას აზრი არ აქვს, საკონსტიტუციო ცვლილებები არ იქნება“

ნინო ბურჯანაძე: „გამოსავალი ქუჩაა. ივანიშვილი სხვა გამოსავალს არ ტოვებს – თუ ოპოზიცია სწორად იმოქმედებს, ხალხი გარეთ გამოვა“

იაგო ნაცვლიშვილი

რამდენად სწორად მიაჩნია ის, რომ ოპოზიციონერმა დეპუტატებმა დათმონ საპარლამენტო მანდატები? თვლის თუ არა, რომ საკონსტიტუციო ცვლილებებმა აზრი დაკარგა? რაში ხედავს გამოსავალს შექმნილი ვითარებიდან და რას ფიქრობს მიხეილ სააკაშვილის თემაზე? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ერთიანი საქართველო — დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე საუბრობს.

– მძიმე არჩევნები ჩატარდა და არაერთი დარღვევა იყო, მაგრამ არის გამოსავალი საპარლამენტო მანდატების დატოვება, რაზეც რიგი დეპუტატები ალაპარაკდნენ?

– მე ვიტყოდი, რომ არჩევნები არ ჩატარებულა. ეს იყო არჩევნების იმიტაცია და ფარსი, იმიტომ, რომ ამას ყველაფერი ერქვა, არჩევნების გარდა. რაც შეეხება საპარლამენტო მანდატებს, თქვენ იცით ჩემი პოზიცია. მე თავიდანვე წინააღმდეგი ვიყავი პარლამენტში ადგილების დაკავების, იმიტომ, რომ პარლამენტს თავისი სახელი რომ დარქმეოდა და დარჩენოდა ის სახელი, რაც მას ეკუთვნოდა – ერთპარტიული პარლამენტი, მაშინ ბიძინა ივანიშვილი ვეღარ გაბედავდა იმას, რაც გაბედა. აქედან გამომდინარე, ის ძალიან დიდი შეცდომა – მიშელის დოკუმენტზე იმ ფორმით ხელმოწერა, როგორც ეს მოხდა, 43%-ის დაფიქსირება და მერე პარლამენტში შესვლა – იყო ფაქტობრივად წინაპირობა ბიძინა ივანიშვილისთვის იმისა, რომ მას გადაეწყვიტა ფართომასშტაბიანი გაყალბება.

– მაგრამ, როცა უკვე მოხდა, ახლა რამდენად სწორია დატოვება?

– როცა უკვე მოხდა, ახლაც მიმაჩნია, რომ ასეთი გამოწვევისა და თავხედობის შემდეგ, რა თქმა უნდა, პარლამენტში ყოფნას აზრი არ აქვს, იმიტომ, რომ ოპოზიციის არც ერთი ინიციატივა არ განუხილავთ და მხარი არ დაუჭერია მისთვის „ქართულ ოცნებას“. არც ერთ ინიციატივასთან დაკავშირებით კონსტრუქციული მსჯელობაც არ ყოფილა.

როგორც უნდათ, ისე გააკეთონ. თუ უნდათ, ისხდნენ იმ პარლამენტში. მე ვამბობ იმას, რაც გასაკეთებელია. ვამბობდი, რა იყო გასაკეთებელი მიშელის დოკუმენტამდეც. სამწუხაროდ, არ გაითვალისწინეს და მივიღეთ ის შედეგი, რომელიც მივიღეთ. ახლაც ვამბობ, რა არის გასაკეთებელი. თუ გაითვალისწინებენ, კარგია, შედეგს მივიღებთ.

– საკონსტიტუციო ცვლილებებმა აზრი დაკარგა თქვენთვის?

– ერთმნიშვნელოვნად ვხედავ, რომ ეს კონსტიტუციური ცვლილებები არ იქნება. „ოცნების“ განცხადებები პირდაპირ ამბობს ამას და ეს იცის ყველამ, მათ შორის ოპოზიციის იმ დეპუტატებმაც, რომლებიც კონსტიტუციას იმიზეზებენ პარლამენტში დასარჩენად. კი ბატონო. მე ვამბობ იმას, რაც არის. მადლობა ღმერთს, რომ 21-ე საუკუნეა და ფიქსირდება ჩემი მოსაზრებები და რეკომენდაციები. როგორც წესი, აღმოჩნდება ხოლმე, რომ ჩემი ნათქვამი მართალია, მაგრამ რას ვიზამთ. ვინმეს იძულება მე არ შემიძლია და არც ვაპირებ.

– როგორც მივხვდი, ერთადერთ გამოსავლად ქუჩას მიიჩნევთ. ასეა?

– რა თქმა უნდა, იმიტომ, რომ სხვა გამოსავალს „ქართული ოცნება“ არ ტოვებს. ორი გზით იცვლება ხელისუფლება – ვადამდელი არჩევნებითა და ქუჩით. ერთადერთი, ვადამდელი არჩევნები მაინც პრიორიტეტია. თუ ვინმე იტყვის, რომ თუ არჩევნებს აზრი არ აქვს, მაშინ ვადამდელს რა აზრი აქვს, ამ ადამიანებს ავუხსნი, რომ ვადამდელის მოპოვება ნიშნავს პოლიტიკური კრიზისის ისეთ რანგში აყვანას, როდესაც „ქართული ოცნება“ ვეღარ შეძლებს არჩევნების გაყალბებას და, უბრალოდ, ის ადამიანებიც კი აღარ დაემორჩილებიან ამ გაყალბებას, რომლებიც მიხვდებიან, რომ შესაძლოა, მერე მათ ვინმემ მოსთხოვოს პასუხი, ანუ ვადამდელი არჩევნები არის შანსი, მაგრამ „ოცნება“ ამას არ დათმობს, რა განცხადებებიც არ უნდა ვაკეთოთ ჩვენ, თუ ძალიან ბევრმა ადამიანმა არ უთხრა მათ, რომ ერთადერთი გამოსავალი ვადამდელ არჩევნებშია.

– კი ამბობთ, რომ ვიღაცებს შეეშინდებათ და არ გააყალბებენ ვადამდელს, მაგრამ, გაგიკვირდებათ ივანიშვილისგან, რომ სპექტაკლი დადგას – დანიშნოს ვადამდელი და ისიც გააყალბოს?

– ვიცი, რომ ის ამ ვარიანტსაც განიხილავდა, თუმცა, მას შემდეგ, რაც ასე ჩაატარეს ადგილობრივი არჩევნები, ეს სცენარი უკვე მოხსნილია განხილვიდან. ამიტომ ამ ეტაპზე არ მგონია, თუმცა ივანიშვილი ყველა ვარიანტში შეეცდება, თავისი სასურველი შედეგი დადოს, მაგრამ, იმედია, ხალხი კიდევ უფრო სხვაგვარად შეხედავს მოვლენებს ვადამდელი არჩევნების შემთხვევაში.

– იმ რესურსს ხედავთ, რომ ხალხი გამოვა ქუჩაში არა ერთჯერად, არამედ პერმანენტული ხასიათის აქციაზე, რაც ალბათ საჭიროა ხელისუფლების შესაცვლელად?

– ეს მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ოპოზიცია სწორად იმოქმედებს. ვგულისხმობ იმას, რომ

გაგრძელება მე-4 გვერდზე

„ოცნება“ სააკაშვილს არაადამიანურად ეპყრობა“

გიორგი ვაშაძე: „არ მომწონს განცხადება, რომ არჩევნებს აზრი არა აქვს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს გიორგი ვაშაძე პასუხობს.

– ბატონო გიორგი, შეიძლება ითქვას, რომ მეორე ტურის პერიოდში თითქმის არ გამოჩენილხართ, ვერც საპროტესტო აქციებზე გიხილეთ, რატომ?

– საწუხაროდ, კოვიდი მაქვს და საკმაოდ ცუდად ვიყავი. პირველი საინფორმაციო საშუალება ხართ, რომელსაც ინტერვიუს ვაძლევ.

– ბატონო გიორგი, თქვენც ხედავთ, არჩევნების შემდეგ როგორი საპროტესტო მუხტი აგორდა. როგორია თქვენი შეფასებები, მოიპარა ხელისუფლებამ არჩევნების შედეგები? ან რამდენად იზიარებთ იმ ოპოზიციური პარტიის ხედვებს, რომელიც ფიქრობს, რომ ქუჩიდან, მშვიდობიანი რევოლუციით დაასრულოს ხელისუფლება?

– სამწუხაროდ, კიდევ ერთხელ დადასტურდა, თუ რა არის არჩევნები „ქართული ოცნების“ ხელში. ეს არის ბევრი მოსყიდვა, ბევრი დაშანტაჟება, ეს ნოუჰაუ, რომელიც აქვთ, პირადობის მოწმობებს ყიდულობენ, რომ ხალხი არ მივიდეს არჩევნებზე. ეს სრული პაკეტი იყო გამოყენებული ორივე ტურში. იმ სამწუხარო რეალობას უნდა გავუსწოროთ თვალი, რომ 800 ათასიდან 900 ათას ხმამდე, ამ ადმინისტრაციული რესურსითა და მოსყიდვით, ამდენ ხმას იღებს „ქართული ოცნება“ და ინარჩუნებს ხელისუფლებაში საკუთარ პოზიციას. მეორე მხრივ რომ შევხედოთ, ქვეყანაში არის უკიდურესად მძიმე ვითარება ეკონომიკური, სოციალური კუთხით, კორონავირუსის თვალსაზრისით. ყველანაირად ძალიან მძიმე ვითარებაა, სამუშაო ადგილი არ იქმნება, ინვესტიციები არ შემოდის, არანაირი ახალი რეფორმა არ გაგვიგია, „ოცნების“ მხრიდან რომ განხორციელებულიყო. შესაბამისად, ძალიან მძიმე ვითარებაა ქვეყანაში. ჩვენი, ოპოზიციის ამოცანა, რაღა თქმა უნდა, არის ხელისუფლების ცვლილება. ხელისუფლება უნდა შევცვალოთ და ამ სტრატეგიაში ყველა კომპონენტი უნდა იქნეს გამოყენებული, როგორც ქუჩის აქციები და პროტესტი, ასევე – საერთაშორისო ასპარეზზე აქტიური მუშაობა. ძალიან მნიშვნელოვანია საკონსტიტუციო ცვლილებებიც, რადგან ერთადერთი გზა, მე რომელსაც ვხედავ, არის ის, რომ როგორმე მაინც მივიდეთ რიგგარეშე არჩევნებამდე, ოღონდ რიგგარეშე არჩევნები უნდა ჩატარდეს სრულად პროპორციული წესით.

– საკონსტიტუციო ცვლილებები ახსენეთ და ხელისუფლების პოზიციაა, ჩვენ ვერ ვხედავთ საკონსტიტუციო ცვლილებების აუცილებლობასო. ეს განცხადება იმის საპასუხოდ გაკეთდა, თუკი ოპოზიცია დატოვებს პარლამენტს და აღარ იქნება შესაძლებელი საკონსტიტუციო ცვლილებების მიღება.

– მოდით, პირდაპირ ვთქვათ, „ქართული ოცნება“ ეძებს ყველა მიზეზს იმისთვის, რომ საკონსტიტუციო ცვლილებები არ განახორციელოს. მას ხომ არ უნდა ეს საკონსტიტუციო ცვლილებები. პირობითად ვთქვათ, დავუშვათ, შეიცვალა საარჩევნო კანონმდებლობა და გახდა სრულად პროპორციული. თუკი არჩევნები გაზაფხულზე ჩატარდება, „ოცნებამ“ იცის, რომ აუცილებლად წააგებს, ის მონოუმრავლესობა, რომელიც დღეს აქვთ, ვეღარ ექნებათ, ამიტომ, მათი ინტერესია, ყველაფერი გააკეთონ იმისთვის, რომ თავი აარიდონ საკონსტიტუციო ცვლილებებს. ვადამდელ არჩევნებამდე რაღაც მექანიზმით უნდა მივიდეთ, თუმცა მანამდე განსახორციელებელია საკონსტიტუციო ცვლილებები, რომ ვადამდელი არჩევნები ჩატარდეს სრულად პროპორციული წესით. შესაბამისად, ხელისუფლება თავს იზღვევს, არ უნდა, რომ სრულად პროპორციულზე გადავიდეს.

– მაშინ, რამდენად მიზანშეწონილია, რომ ოპოზიციამ დატოვოს პარლამენტი და მისცეს საბაბი და სათქმელი ხელისუფლებას, რომ აი, მე ვერ განვახორციელებ საკონსტიტუციო ცვლილებებს, რადგან ამისათვის საკმარისი ხმები არ მაქვს?

– დიახ, ზუსტად აქედან გამომდინარე ვამბობ, რომ არ არის მიზანშეწონილი ახლა პარლამენტის დატოვება. მე მესმის ჩემი ოპოზიციონერი კოლეგების. სიმართლე რომ გითხრათ, პარლამენტში მისვლაც კი ჩემთვის უკვე იმხელა დისკომფორტია, გაგონებაც არ მინდა, მაგრამ ვხედავ, რომ სხვა გზა და გამოსავალი ფაქტობრივად არ არის. სხვა ალტერნატივა არა გვაქვს, გარდა იმისა, რომ ეს მექანიზმი გამოვიყენოთ საკონსტიტუციო ცვლილებებისთვის.

– მაშინ გამოდის, რომ თავად ოპოზიცია შეუწყობს ხელს ხელისუფლებას?

– რა თქმა უნდა. მე სწორედ ამიტომ მივესალმები, პარლამენტში ვინც არიან წარმოდგენილი, ყველა ამბობს, რომ არ აპირებენ პარლამენტის დატოვებას. მათ შორის ეს თქვა ნაციონალურმა მოძრაობამ, „ელემაც“ თქვა, რომ, მამუკა ხაზარაძის განცხადების მიუხედავად, არ აპირებენ პარლამენტის დატოვებას. შესაბამისად, ეს სწორია, კარგია და მეც, როგორც კი მოვრჩები ამ კოვიდპროცედურებს, მექნება კონსულტაცია ოპოზიციონერ კოლეგებთან, აბსოლუტურად ყველასთან. რაღაც საერთო მექანიზმები უნდა მოვიძიოთ, რომ რაც შეიძლება სწრაფად მივიყვანოთ ცვლილებებამდე ეს პროცესი.

– ოპოზიციის ერთი ნაწილი ალაპარაკდა მშვიდობიან რევოლუციაზე – ხელისუფლებას არჩევნების გზით ვერ დავამარცხებთო. რამდენად არის რევოლუციების დრო და ეს თუ იქნება გამოსავალი?

– პირდაპირ გეტყვით, მე არ მომწონს ეს

განცხადება, რომ არჩევნებს აზრი არა აქვს, არჩევნებით ვერ დავამარცხებთ და ასე შემდეგ. თანმიმდევრულები უნდა ვიყოთ. მეორე მხრივ, ამბობენ, საკონსტიტუციო ცვლილებები უნდა მივიღოთო და აბა საკონსტიტუციო ცვლილებები რისთვის გვინდა? იმისთვის. რომ არჩევნები ჩატარდეს სრულად პროპორციული წესით. „ქართულ ოცნებას“ დღეს რომ ჰქონდეს 5%-იანი მხარდაჭერა და ხელისუფლებაში იყოს, ასეთ შემთხვევაში რევოლუცია თავისთავად მოხდებოდა. დღეს არ არის ეს ვითარება. რევოლუცია არ მოხდება რევოლუციის ძახილით. დავემსგავსებით „ნატვრის ხის“ გმირს, რომ გაიძახის, რევოლუცია მოდის, რევოლუცია მოდისო. რევოლუციას ხალხი ახდენს და არა პოლიტიკური პარტიები. დღეს ეს მხარდაჭერა არ არის. ამიტომ თანმიმდევრულები უნდა ვიყოთ. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქუჩის პროტესტი არ უნდა იყოს. პროტესტი უნდა გვქონდეს ყველა იმ საკითხზე, რომლებიც არ მოგვწონს. ეს ჩვენი კონსტიტუციით გარანტირებული უფლებაა.

– მიდიხართ 6 ნოემბრის აქციაზე?

– მე შაბათიდან უკვე მექნება გარეთ გასვლის უფლება და აუცილებლად მივალ ამ აქციაზე. ასევე ყველას მოვუწოდებ, მივიდეს შაბათს აქციაზე. „ქართულმა ოცნებამ“ არ უნდა ჩათვალოს, ეს არჩევნებიც შემრჩა და გადავაგორეო. თუ პროტესტი არ იქნება, ისინი ჩათვლიან, რომ ამით დამთავრდა ყველაფერი.

– კი მაგრამ, ეს ხომ არ უნდა იყოს უბრალოდ პროტესტი პროტესტისთვის. შედეგს რამდენად ელოდებით?

– შედეგი იქნება, რომ პროტესტს უნდა ჰქონდეს თავისი მოთხოვნები, თავისი სტრატეგია, უნდა მუშაობდნენ სხვადასხვა მექანიზმის გამოყენებასთან დაკავშირებით. ეს სრული კომპლექსი უნდა იყოს. მხოლოდ ქუჩაში დგომა ხომ არ არის თვითმიზანი. ის გარკვეულ მიზანს უნდა ემსახურებოდეს.

– რა პოზიცია გაქვთ მიხეილ სააკაშვილის ირგვლივ განვითარებული პროცესების შესახებ? იცით, რომ მესამე პრეზიდენტი შიმშილობას აგრძელებს. რამდენად შევიდა ჩიხში ხელისუფლება ან მისი გათავისუფლების რაიმე გზა თუ არსებობს?

– პირველი, რასაც ვიტყვი, უბრალოდ, არაადამიანური მგონია ის დამოკიდებულება, რომ ამ საავადმყოფოში არ გადავიყვან, ისეთში გადავიყვან. ეს არის, იცით, როგორი დამოკიდებულება? ადამიანი რომ დაკარგავს ადამიანობას. ამდენი დღეა, შიმშილობს ადამიანი, ესენი კი დგანან და სამარცხვინო განცხადებებს აკეთებენ, არ შიმშილობსო. ის რომ მართლა საჭმელს ჭამდეს იქ, „ქართულ ოცნებას“ თქვენ დაასწრებდით? ყოველდღე ჩამოჰყვებოდნენ მენიუს, თუ რას მირთმევს სააკაშვილი. ძალიან რთული ვითარებაა შექმნილი. „ოცნება“ კი პროცესებს არის მინდობილი, რომ აი, რაღაცა იქნება. რაღაცა თავისით არ მოხდება. ღმერთმა დაგვიფაროს და ამ ადამიანის სიცოცხლე რომ შეეწიროს ამას, ეს ხომ საშინელი ლაქაა საქართველოს ისტორიაში. საშინელება იქნება ეს ყველაფერი. ხელისუფლებაში მყოფ ძალას ევალება, იყოს უფრო მეტად პასუხისმგებლიანი და არა ის, რომ იძახოს, სააკაშვილი რიგითი პატიმარიაო. რანაირად არის ქვეყნის მესამე პრეზიდენტი სააკაშვილი რიგითი პატიმარი?! ვის ატყუებენ, ვერანაირად ვერ იქნება. პოლიტიკური პროცესი არ არსებობს, გარდა მიხეილ სააკაშვილის თემისა. ჩავრთოთ ტელევიზორი და შევხედოთ. მოვუწოდებ ხელისუფლებას, რაც შეიძლება სწრაფად გადაიყვანონ სამედიცინო დაწესებულებაში, რომ ეს დაძაბულობა ამ კომპონენტში მაინც მოიხსნას.

– მისი გათავისუფლების გზებზე რას იტყვით?

– მის გათავისუფლებას რაც შეეხება, გულწრფელად ვამბობ, ნამდვილად არა მაქვს ფორმულა ამ საკითხთან დაკავშირებით. ერთია, ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს სამართლიანი სასამართლოს უფლება. შენ რომ გამოხვიდე და თქვა, არა, მე უბრალოდ მინდა, რომ იჯდეს ციხეში და დაისაჯოსო, ეს არის შუა საუკუნეების დამოკიდებულება და არა დემოკრატიული წესწყობილების პრინციპები. ჯერ მთავარი საკითხი ნამდვილად არის მისი ჯანმრთელობა და შემდეგ ის, თუ როგორ მივა სამართლიან სასამართლომდე ეს ყველაფერი. ერთია, რას ლაპარაკობენ საჯაროდ და მეორეა, რა არის წარდგენილი ბრალში. ეს ორი ერთმანეთისგან განსხვავდება და ეს არის რეალობა! ამ რეალობას კი თვალი ყველამ უნდა გაუსწოროს.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკვერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„მე როცა სააკაშვილს ვაკრიტიკებდი, მამუკა მდინარაძე პროკურატურასთან იყო შეკრული და ფულს აკეთებდა“

გედევან ფოფხაძე: „ქართულმა ოცნებამ“ სიტუაცია ბოლომდე ვერ დაალაგა, მკვეთრი კონფლიქტი მოუვიდათ გახარიას პარტიის წარმომადგენელთან“

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების“ ყოფილი წევრი, პარალმენტის ყოფილი დეპუტატი გედევან ფოფხაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო გედევან, როგორ აფასებთ შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციას? ხომ არ ფიქრობთ, რომ ოპოზიცია შეიძლება ბედს შეეგუოს და 2004 წლის არჩევნებამდე გადაავადოს გამარჯვება?

– პოლიტიკური პროცესის დასრულებაზე საუბარი შეუძლებელია. ვიღაცისთვის სტაბილური პოლიტიკური ვითარება არ ნიშნავს, რომ ქვეყანაშია სტაბილური ვითარება. შეიძლება, დინამიკა დაიწყოს და სრულიად მოულოდნელი შედეგი მივიღოთ.

საუბარი იმაზე, რომ ამ არჩევნებმა ხელისუფლებას ლეგიტიმაცია შესძინა და მას შეუძლია, სამი წელი მშვიდად მართოს ქვეყანა, გამორიცხულია, რადგან არანაირი ლეგიტიმაცია არ შეუძენია. ასეთი ცუდი არჩევნები შედეგობრივად ოპოზიციას ადგილობრივ დონეზე შევარდნაძის მმართველობის შემდეგ არ ჰქონია. შევარდნაძე თვითმმართველობის არჩევნებს მოსახლეობას უთმობდა.

ამ არჩევნებზე ხელისუფლებამ თავი დაიზღვია და თეორიულადაც კი გამორიცხა, რომ ხალხს სადმე ოპოზიცია აერჩია.

– წალენჯიხის პრეცედენტს რით ხსნით?

– აქ სხვა რაღაც მოხდა. „ქართულმა ოცნებამ“ სიტუაცია ბოლომდე ვერ დაალაგა, მკვეთრი კონფლიქტი მოუვიდათ გახარიას პარტიის წარმომადგენელთან. უკვე ისეთი პროცენტული განსხვავება დაფიქსირდა პირველ ტურში ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის, რომ ვეღარანაირი გაყალბება ვეღარ უშველიდათ. გაყალბების რესურსიც ამოწურვადია.

განა არ ესმით „ქართულ ოცნებაში“, რომ ბათუმის, ქუთაისის, ზუგდიდის შედეგები გამარჯვებას არ ნიშნავს. ეს ის გამარჯვებაა, რომელიც ხშირ შემთხვევაში, შეიძლება, დამარცხების ტოლფასი იყოს.

– მიხეილ სააკაშვილს ამ პროცესებზე რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს? მისმა ჯანმრთელობის მდგომარეობამ, შეიძლება, გავლენა იქონიოს?

– მიხეილ სააკაშვილი პროცესებზე გავლენას ყველა შემთხვევაში ახდენს. მოცემულობა, რომელიც არის, პირდაპირ ამბობს: ან სააკაშვილი, რომელიც მზად არის, თავიც კი გაწიროს, ყოველ შემთხვევაში, ჯანმრთელობა მაინც ან არსებული ხელისუფლება, რომელიც მხოლოდ საკუთარ გამდიდრებაზე ზრუნავს და სხვა არაფერზე. ადამიანები ძალიან მარტივი ფორმულით ხელმძღვანელობენ ასეთ დროს – პრობლემებს, რომლებიც მათ აქვთ, რამდენად ადვილად გადაჭრიან, მაგალითად, მაღაზიაში შესულს თუ საავადმყოფოში მისულს რა რეალობა უდგება, როგორ უმკლავდება ის ამ რეალობას. ადამიანი თუ ვერ გადაჭრის ყოველდღიურ ელემენტარულ პრობლემას, რომელსაც არსებობა ჰქვია, მაშინ მას ფსიქოლოგიური მომენტი უდგება, რომ შეცვალოს ხელისუფლება.

– დღეს ეს ფსიქოლოგიური მომენტი არ დამდგარა?

– ძალიან ახლოს არის. სააკაშვილმა, როგორც გამოცდილმა პოლიტიკოსმა, ეს მომენტი იგრძნო.

– რას იტყვით ხელისუფლების დამოკიდებულებაზე სააკაშვილის შიმშილობისადმი? მამუკა მდინარაძე 40 დღეზე საუბრობს. ვიცით, რომ მოშიმშილე ადამიანი მხოლოდ 40 დღე ძლებს.

– რა ნეგატიური დამოკიდებულებაც არ უნდა ჰქონდეს ქართველ კაცს სააკაშვილის მიმართ, აშკარაა, რომ ციხეში მყოფი სააკაშვილის მიმართ უფრო ლოიალურია. არსებობდა სტერეოტიპი მის მიმართ, რომ ის არის კომფორტის მოყვარული ადამიანი, რომელიც თავს არ გადადებს, რომ მას ძალაუფლება უნდა პირადი კეთილდღეობისთვის და არა ხალხისთვის. შიმშილობა, რა თქმა უნდა, ამ სტერეოტიპებს აბათილებს, მით უმეტეს, სააკაშვილი სახლში კი არ შიმშილობს, სადაც ვერავინ შეამოწმებს, ციხეში იმ ხელისუფლების პირობებში, რომელიც მას სასიკვდილოდაც გაიმეტებს. რა თქმა უნდა, ეს არის ვაჟკაცური ჟესტი, რა კრიტიკულიც არ უნდა ვიყო მისი ცხრაწლიანი მმართველობის მიმართ. ეს, ცხადია, ახდენს ხალხზე გავლენას. ეს მისი მხრიდან მორალური თვალსაზრისით სწორი გზავნილია საზოგადოებისთვის.

– და ამიტომ შეიძლება ხალხს ეუბნებიან, რომ სააკაშვილი იტყუება, როდესაც ამბობს, რომ შიმშილობს? ციხეს ოპოზიცია კი არა, ხელისუფლება აკონტროლებს და, თუ სააკაშვილი საკვებს იღებს, ხომ გამოაქვეყნებდნენ?

– რა თქმა უნდა. ხელისუფლებას აქვს ყველა რესურსი, რომ პატიმრის ნებისმიერი გზავნილი, ნებისმიერი კომუნიკაცია აკონტროლოს. ამიტომ საუბარი ამაზე ძალიან ამორალურია. ნეტა ჭამდეს, რადგან, სააკაშვილის ფიზიკურ არსებობას თუ საფრთხე შეექმნება, ეს ცალკე პრობლემა იქნება ქვეყნისთვის. თუ ხელისუფლება სააკაშვილისგან ითხოვს შიმშილობას, მაშინ, გამოდის, ეს არაადამიანური, პირდაპირ ადამიანის სიკვდილზე წამსვლელი ხელისუფლებაა.

მე არ მიმაჩნია, რომ სააკაშვილის შიმშილობის მიმართ ვინმეს უნდა ჰქონდეს ცინიკური და აგდებული დამოკიდებულება, მით უფრო, უხაროდეს მისი შიმშილობა – იქნებ მოკვდეს. თუ ასეთი დამოკიდებულება აქვს ხელისუფლებას, ისედაც სამარცხვინო ხელისუფლება კიდევ უფრო სამარცხვინოა. ამ ადამიანების უმრავლესობა, როდესაც სააკაშვილი ხელისუფლებაში იყო, მასთან იყო. მე როდესაც სააკაშვილის ხელისუფლებას ვაპროტესტებდი, მამუკა მდინარაძე ადვოკატურაში იყო, პროკურატურასთან იყო შეკრული და ფულს აკეთებდა.

„სამეგრელოში არჩევნებზე ხელისუფლებას „ჭყის ძმებისა“ და ჭაჭიას დაჯგუფება ეხმარებოდა“

მამუკა გვაძაბია: „გაცილებით მარტივი იყო საბჭოთა კავშირთან ბრძოლა, ვიდრე ამ რეჟიმთან“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს დამოუკიდებელი ექსპერტი მამუკა გვაძაბია პასუხობს.

– ბატონო მამუკა, ამბობენ, რომ არჩევნები სხვა რეგიონებთან შედარებით განსაკუთრებულად სამეგრელოში გაყალბდა. თქვენ წინასაარჩევნო პროცესს აკვირდებოდით ამ რეგიონში და როგორია თქვენი შეფასებები? თუკი ასეთი მასობრივი გაყალბება იყო, მაშინ, წალენჯიხაში გამარჯვება როგორ მოახერხა ოპოზიციამ?

– აბსოლუტურად ამომწურავი ინფორმაცია გამაჩნია თითქმის ყველა მუნიციპალიტეტიდან. მე არა ვარ დაინტერესებული მხარე, არ წარმოვადგენ არც ერთ პოლიტიკურ პარტიას, ამიტომ, ვიტყვი იმას, რაც ხდებოდა სამეგრელოს რეგიონში. მოხდა ხელისუფლების აბსოლუტური დელეგიტიმაცია და ეს დაემთხვა 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებს, შემდეგ ამას მოჰყვა 2020 წლის საპარალამენტო არჩევნები და ახლა ადგილობრივი არჩევნების დროს მოხდა ხელისუფლების სრული დელეგიტიმაცია. არაერთი ფაქტი არსებობს, მათ შორის სამეგრელოს რეგიონში, არჩევნებამდე გაყალბების, არჩევნებამდე ამომრჩეველზე ზემოქმედების.

– და შინებასა და მოსყიდვას გულისხმობთ?

– რასაკვირველია. კადრებიც არსებობს, ეს მე ხომ არ მომიგონია, როგორ არიგებს ხობის მერობის კანდიდატი ფულს მანქანიდან. დაბალი ზონის სოფლებში ყველგან ტოტალური დაშინება და მოსყიდვა იყო. სამეგრელოს რეგიონში ძალიან ბევრი იყო გაგზავნილი აღმოსავლეთ საქართველოდან ეს ე.წ. კუნთმაგარი ბიჭი. ვერ ვხვდები, რა მიზანს ემსახურება ეს. სოფელ კახათში პირისპირ შევხვდით ნარკოტიკული თრობის ქვეშ მყოფ პირებს, რომლებიც საკამოდ უხეშად მიმართავდნენ იქ მცხოვრებ მოსახლეობას. რა ბნელ მიზანს ემსახურება აღმოსავლეთიდან დასავლეთში გაგზავნა. ეს ძალიან სახიფათო რამ არის და ამაზე უნდა დაფიქრდეს ხელისუფლება. ესენი იყვნენ კუნთმაგარი და გონებაჩლუნგი ბიჭები, რომლებიც ნარკოტიკული თრობის ქვეშ იყვნენ მუდმივად.

– ითქვა, რომ გალის მოსახლეობას უშლიდნენ ხელს გადმოსვლაში.

– დიახ, გალის რაიონის დღევანდელი მოსახლეობის უმრავლესობა, რომელიც დღეს ცხოვრობს ოკუპირებულ ტერიტორიაზე (მე ამ ადამიანებთან ძალიან მჭიდრო და ყოველდღიური ურთიერთობა მაქვს), ზუსტად ვიცი, რომ ოპოზიციურადაა განწყობილი. სწორედ ამიტომ აქტიურად უშლიდნენ ხელს მათ გადმოსვლას საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე. შემიძლია თამამად ვთქვა, ისინი რომ არ გადმოსულიყვნენ და არჩევნებში მონაწილეობა არ მიეღოთ, ამიტომ შედგა კოლაბორაცია საქართველოს ხელისუფლებას, ოკუპირებულ ხელისუფლებასა და ენგურჰესის ადმინისტრაციას შორის. აგრეთვე ამ პროცესში აქტიურად მონაწილეობ-



და ნახევრად ბანდიტური დაჯგუფების, ე.წ. ტყის საძმოს ლიდერი შენგელია. აბსოლუტურად ყველა შეაჩერეს, ვერავინ ვერ გადმოვიდა ხმის მისაცემად საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე.

– წალენჯიხაზე რას იტყვით, იქ როგორ მოხერხდა ოპოზიციური კანდიდატის გამარჯვება?

– რაც შეეხება წალენჯიხას, სადაც ხელისუფლების მიერ მოხდა შედეგების აღიარება, ძალიან ღირსეული პიროვნებაა ბატონი გია, წალენჯიხის გამარჯვებული მერი. მან ძალიან კვალიფიციური წინასაარჩევნო კამპანია აწარმოა და, რა თქმა უნდა, ეს არჩევნები ღირსეულად მოიგო. ამაში ეჭვის შეტანა არ შეიძლება. სხვა ქალაქებშიც გაიმარჯვა ოპოზიციამ, მაგრამ, იცით, რატომ აღიარა მაინცდამაინც წალენჯიხის შედეგი და სხვები – არა?!

– რატომ?

– იცის ყველამ, რომ ვარდების რევოლუცია 2003 წელს სწორედ წალენჯიხიდან დაიწყო. მოსახლეობის განწყობაც ცნობილი იყო და დღესაც ცნობილია. ამიტომ, ხელისუფლებას რაღაცნაირად რომ გაეთამაშებინა, ობიექტურობის იმიჯი შეექმნა, აი, ასე უმნიშვნელოდ ჩათვალა და გადაწყვიტეს, რომ არჩევნების შედეგს წალენჯიხაში დაუთმობდნენ ოპოზიციას. ხელისუფლებას ვარდების რევოლუციის სინდრომის განეიტრალება სურს და მხოლოდ და მხოლოდ ამიტომ გააკეთა ეს.

– ბატონო მამუკა, გავრცელდა ინფორმაცია, რომ წალენჯიხაში ნაცმოძრაობის კანდიდატს მხარი გახარიას გუნდმა დაუჭირა და სწორედ ამიტომ ვერ გადაიფორმა ხელისუფლებამ წალენჯიხაში გამარჯვება. ამაზე რას იტყვით?

– თქვენ რომ ეს კითხვა არ დაგესვათ, მე ჩემი ინიციატივით ამ თემას არ წამოვწევდი. რადგან მკითხეთ, გეტყვით. არ დავმალავ არაფერს, ჩვენ გვქონდა, მათ შორის წალენჯიხაში, მათ შორის სენაკის მუნიციპალიტეტში, ზუგდიდშიც და სხვაგანაც, თქვენ მიერ ხსენებული პოლიტიკური მოხელის მომხრეებთან შეხვედრა. ოღონდ ამ პიროვნებებს ვერ დავასახელებ. ძალიან კარგი, პატიოსანი და კეთილსინდისიერი ხალხია. გვქონდა ჩვენ მათთან შეხვედრა და ყველას პოზიცია იყო ასეთი – ჩვენ ვიცით, რა უნდა გავაკეთოთ, ვიცით, როგორ უნდა გამოვადგეთ ქვეყანას და ამიტომ არ გვჭირდება მითითება, როგორ უნდა მოვიქცეთო. მათ გვითხრეს, რომ გადაწყვეტილებას იღებდნენ ინდივიდუალურად, თუ ვისთვის უნდა დაეჭირათ მხარი.

– შეიძლება ითქვას, რომ თანამშრომლობა, ასე თუ ისე, შედგა?

– ამას ასეთი ოფიციალური თანამშრომლობის სახე არ ჰქონია, ასეთი გაცხადებული თანამშრომლობა არ ყოფილა. ეს გადაწყვეტილება ყველამ ინდივიდუალურად მიიღო. ამიტომ ზოგმა ნაციონალური მოძრაობის კანდიდატს დაუჭირა მხარი და ზოგმაც – „ოცნებისას“. ასევე ერთ მნიშვნელოვან მომენტსაც მინდა გავუსვა ხაზი: ძალიან თვალშისაცემი იყო სამეგრელოში ჭაჭიას დაჯგუფების მავნებლური მოქმედება.

– რას გულისხმობთ?

– ჭაჭია კრემლთან დაახლოებული ვაიბიზნესმენია. ის „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას უჭერდა მხარს და მისი დაჯგუფება ძალიან არაკეთილსინდისიერად და ანტიეროვნულად იქცეოდა სამეგრელოს რეგიონში. არჩევნების დღეს არ ხდება გაყალბება, 70-80%-ით არჩევნების დღემდე ყალბდება. იმ დღეს უკვე ყველაფერი მოგვარებული და დალაგებული აქვთ. წარმოუდგენელი დონით იყო გაყალბება. ასეთი პოლიტტექნოლოგიები, როგორსაც „ქართული ოცნება“ იყენებს, არც მსმენია და არც შემხვედრია არსად. ამიტომ სრული დელეგიტიმაცია განიცადა ხელისუფლებამ და ოპოზიციის მიერ გადადგმული ნებისმიერი ნაბიჯი მათთან საბრძოლველად, რა თქმა უნდა, არაძალადობრივი, ჩემთვის მისაღებია. ჩემი პოზიცია ასეთია – ამ ხელისუფლების ჩამოშორება არჩევნების გზით შეუძლებელი ხდება.

– მიმდინარეობს საპროტესტო აქციები, გამოსვლები და ნაციონალური მოძრაობისგან ვისმენთ შეფასებებს, რომ ეს ხელისუფლება მშვიდობიანი რევოლუციით უნდა მოვიშოროთ, მათი შეცვლა არჩევნების გზით შეუძლებელია. ანუ ისევ რევოლუციის გზით მივდივართ?

– მე საბჭოთა რეჟიმთან ბრძოლის ძალიან დიდი გამოცდილება მაქვს. ძირითადად აფხაზეთში ვსაქმიანობდი. საბჭოთა რეჟიმთან ბრძოლა, იცით, რომ ადვილი ნამდვილად არ იყო, თუმცა, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ოლიგარქის რეჟიმთან გაცილებით რთულია ბრძოლა, ვიდრე ეს საბჭოთა რეჟიმთან იყო. ოლიგარქ ივანიშვილს ბევრი რამ აქვს დასაკარგი და ამიტომ ესენი ცოცხალი თავით არ დათმობენ. თუ იქნება მშვიდობიანი რევოლუცია, მეც ჩემი ხალხის გვერდით დავდგები. მოვუწოდებ ყველა ოპოზიციურ პარტიას, შეიქმნას ეროვნული, ზეპარტიული კოალიცია, ეროვნული ხსნის კომიტეტი, რომელიც კოორდინირებას გაუწევს ყველა ოპოზიციურ გამოსვლას, რომლებიც გამოიწვევს ოლიგარქის რეჟიმის დემონტაჟსა და საქართველოს გათავისუფლებას. მთელი პასუხისმგებლობით ვამბობ – გაცილებით მარტივი იყო საბჭოთა კავშირთან ბრძოლა, ვიდრე ამ რეჟიმთან. თუმცა ამასაც მოეღება ბოლო, თუ ოპოზიცია ერთიანი იქნება.

სალომე ზურაბიშვილი: „სააკაშვილს არასდროს შევიწყალებ. ის განსაკუთრებული პატიმარია“

გუშინ, 3 ნოემბერს, საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ბრიფინგი გამართა, რომელზეც განაცხადა, რომ სააკაშვილს არასდროს შეიწყალებს.

– ჩემი პოზიცია ყოფილი პრეზიდენტის შეწყალებაზე მყარი და უცვლელია. არა და არასდროს. ყოფილი პრეზიდენტი არც პოლიტიკური პატიმრობისა და არც უდანაშაულობის მსხვერპლის არც ერთ კრიტერიუმს არ აკმაყოფილებს. ის არის ნებაყოფლობით და არალეგალური გზით ქვეყანაში შემოღწეული მსჯავრდებული, რომლის შემოსვლაც მიზნად ისახავდა დესტაბილიზაციას.

ამის მიუხედავად, ის უნდა იყოს მიჩნეული განსაკუთრებულ პატიმრად. ეს მოითხოვს პენიტენციარული ადმინისტრაციისა და ხელისუფლებისგან განსაკუთრებულ ყურადღებას, ყველა ზომის მიღებას, რათა ჯანმრთელობის გაუარესება არ იქნეს გამოყენებული პოლიტიკური სპეკულაციის ან დესტაბილიზაციის მიზნით.

ეს საჭიროებს მაქსიმალურ გამჭვირვალობასა და დროულ რეაგირებას ნებისმიერი დამძიმების ნიშნებისთანავე. ამ საკითხს მე არ დავუბრუნდები, – განაცხადა ზურაბიშვილმა.

ბჟანია ხალხს მოუწოდებს, საპროტესტო აქციაში მონაწილეობა არ მიიღოს

ოკუპირებულ აფხაზეთში სოხუმის სანაპიროზე მომხდარი ინციდენტის შედეგს იმკიან

მარიამ მჭედლიშვილი

4 ნოემბერს აფხაზეთის ომის ვეტერანების ინიციატივით დაგეგმილია საპროტესტო აქცია. მთავარი მოთხოვნა შინაგან საქმეთა მინისტრ დიმიტრი დბარის გადაყენებაა. დე ფაქტო პრეზიდენტი ასლან ბჟანია ხალხს მოუწოდებს, არ მიიღონ მონაწილეობა საპროტესტო აქციაში.

დიმიტრი დბარი ბოლო ხანს ერთი საქმის შესწავლამდე ჩამოშორებული იყო თანამდებობას. 2 ნოემბერს დე ფაქტო პრეზიდეტმა ასლან ბჟანიამ იგი პოსტზე ხელახლა დაამტკიცა. საზოგადოების ნაწილი სწორედ ამან აღაშფოთა.

ყველაფერი დაიწყო 30 სექტემბერს სოხუმის სანაპიროზე მომხდარი ინციდენტით. იმ დღეს ატეხილი შეხლა-შემოხლის დეტალები დღემდე არ ხმაურდება, თუმცა, მაშინვე ითქვა, რომ ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ვეტერანები (უმრავლესობა სოფელ აძიუბჟადან) და შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკები.

მიზეზი არ სახელდება. დიდი ალბათობით, საქმეში გარეულია ნათესაურ-კლანურ-გვაროვნული კონკურენცია, რაც ტრადიციულია ოკუპირებული რეგიონისათვის. აფხაზეთისთვის ასევე დამახასიათებელია უფლებამოსილებების გადამეტება ძალოვნების მხრიდან.

აფხაზეთში ოქტომბრის დასაწყისში მომხდარის გამო ისეთი მღელვარება დაიწყო, რომ მოსკოვში მყოფმა ასლან ბჟანიამ დანიშნული შეხვედრები გადადო და სოხუმში დაბრუნდა.

მისი მონაწილეობით დაიწყო საპროკურორო შემოწმება. შემოწმების შედეგის საფუძველზე ბჟანიამ დროებით გადამდგარ შს მინისტრ დბარს გაფრთხილება მისცა, თუმცა მინისტრად დააბრუნა.

– საპროკურორო შემოწმება ორი კვირის წინ დამთავრდა. მაშინ ისევ მოსკოვში ვიყავი. იმის იმედიც მქონდა, რომ მხარეები შერიგდებიან. ეს არ მოხდა. დიმიტრი დბარის ქმედებებში პროკურატურამ დანაშაული ვერ აღმოაჩინა. მას დაედო ადმინისტრაციული სახდელი-გაფრთხილება. შსს-ს ორი მაღალჩინოსნის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, – განმარტა ბჟანიამ.

მანვე ხალხს უთხრა, რომ დბარის დროს შსს-ს სისტემაში შეინიშნება პოზიტიური ტენდენციები. გაუმჯობესდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გაიზარდა ხელფასები, დანაშაულის გახსნის მაჩვენებელი. ამასთან, ბჟანიამ აღიარა, რომ ჯერ ვერ მოხერხდა შინაგან საქმეთა ორგანოების პრესტიჟის ამაღლება.

შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლებს, მართლაც, აფხაზეთში უნდობლად ეკიდებიან. ამიტომ, გასაკვირი არ არის, რომ 30 სექტემბრის ინციდენტი ისევ აქტუალურია, განსაკუთრებით – აფხაზეთის ვეტერანებში.

ორგანიზაციამ, რომლის სახელწოდებაა „აფხაზეთის ხალხის სამამულო ომის ვეტერანთა გაერთიანებული საბჭო“, ვეტერანთა მრავალრიცხოვანი შეხვედრა გამართა. შეხვედრაზე გადაწყდა 4 ნოემბერს საპროტესტო აქციის გამართვა შს მინისტრის გადაყენების მოთხოვნით.

ამის გამო ასლან ბჟანიამ ხალხს მიმართა. მისი თქმით, ექსცესების თავიდან ასაცილებლად მოქალაქეებმა თავი უნდა შეიკავონ აქციაში მონაწილეობისაგან. გარდა ამისა, ფაქტობრივი პრეზიდენტის თქმით, არავის გაუუქმებია კოვიდშეზღუდვები და ორგანიზატორებს არ მოუთხოვიათ ნებართვა მიტინგის გამართვაზე.

– ერთი დღით არ ვცხოვრობთ. მომავალშიც უნდა ვიმუშაოთ. დაშვებულ შეცდომებს გამოვასწორებთ. შს მინისტრი მკაცრი კონტროლის ქვეშ იმუშავებს, – აღუთქვა ხალხს ბჟანიამ.

იმოქმედებს თუ არა მისი შეგონება, გამოჩნდება. აფხაზეთში ნებისმიერი აქცია შეიძლება გახდეს ხელისუფლების შეცვლის საბაბი, თუმცა აფხაზეთის მოქალაქეები განსაკუთრებულ რყევებს არ ელიან. მათი აზრით, ამჟამად აფხაზეთში არ არიან ის პიროვნებები, რომლებსაც ხალხის აყოლიება და რყევების მოხდენა შეუძლიათ.

„ხალხი ნაცრეჟიმის სიმწარეს არ დაივიწყებს“

მამუკა ტუსკაძე: „საარჩევნო კამპანია ყველასთვის თანაბრად უნდა დაფინანსდეს“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პოლიტიკური მოძრაობა „სოციალური სამართლიანობისთვის“ ლიდერი მამუკა ტუსკაძე პასუხობს.

– ბატონო მამუკა, ჩატარებულ არჩევნებს როგორ აფასებთ?

– არჩევნები წყნარ ვითარებაში ჩატარდა. საარჩევნო ადმინისტრაციამ მასზე დაკისრებულ მოვალეობასა და ფუნქციას ნამდვილად გაართვა თავი. ხარვეზები, რომლებიც არჩევნების დღეს დაფიქსირდა, უბრალო პროვოკაციები იყო, რომლებმაც არჩევნების შედეგებზე ნამდვილად ვერ იმოქმედა.

შესაბამისად, არჩევნები შედგა. როგორც პოლიტიკური ორგანიზაციის ლიდერმა, გამარჯვებულებს მივულოცე. მათ შორის, მივულოცე წალენჯიხაში ნაცმოძრაობის გამარჯვებულს. მშვიდობიანად და წარმატებით ჩატარებულ არჩევნებში ყველამ ის შედეგი მიიღო, რომელიც ეკუთვნოდა.

როგორც არასაპარლამენტო ოპოზიციურმა პარტიამ, საყვედურის ფორმით მაინც მინდა ვთქვა, კარგი იქნება. თუ წინასაარჩევნო გარემო გაუმჯობესდება და ახალ, პატარა პოლიტიკურ ძალებს განვითარების თანაბარი შესაძლებლობა მიეცემათ.

– რას გულისხმობთ, რა არის გასაკეთებელი?

– ვგულისხმობ, მაგალითად, სატელევიზიო ეთერებზე წვდომას. კარგი იქნება, თუ ადმინისტრაციული რესურსი ნაკლებად იქნება გამოყენებული. ადმინისტრაციულ რესურსს მაქსიმალურად იყენებს როგორც ახლანდელი ხელისუფლება, ასევე წინა. წინა ხელისუფლება იყენებს იმ თანამშრომლებს, რომლებიც მათ დროს მუშაობდნენ და ახლაც მუშაობენ.

პრაქტიკულად, ორივე ძლიერი ძალა – „ქართული ოცნება“ და ნაცმოძრაობა – ადმინისტრაციულ რესურსს იყენებს. ნაცმოძრაობასაც აქვს ადმინისტრაციული რესურსი სახელმწიფო სტრუქტურებში ჩარჩენილი ადამიანების სახით, რომლებიც ნაცმოძრაობის დროიდან მუშაობენ სახელმწიფო სტრუქტურებში. ნაცებს ისინი მუდამ მხარს უჭერდნენ. ნაცმოძრაობა ნახევარ მილიონ ხმას ამიტომ იღებს.

გასაუმჯობესებელია წინასაარჩევნო გარემო. დანარჩენი, არჩევნებმა მშვიდობიან და წყნარ ვითარებაში ჩაიარა.

– წინასაარჩევნო გარემო როგორ უნდა გაუმჯობესდეს?

– წინასაარჩევნო გარემო რამდენიმე ძირითადი ასპექტით უნდა გაუმჯობესდეს. პირველი – საზოგადოებასთან ურთიერთობის კუთხით. კანონში უნდა ჩაიწეროს, რომ არა მარტო კვალიფიციური პარტიებისთვის იყოს სატელევიზიო ეთერი და სარეკლამო დრო უფასო. მილიონერი პარტიებისთვის საარჩევნო რეკლამები უფასოა, ახალდაფუძნებული და ახალი პოლიტიკური ძალებისთვის კი – ფასიანი.

საარჩევნო კამპანია რამენაირად ყველასთვის თანაბრად უნდა დაფინანსდეს, ბიუჯეტმა თანხა უნდა გამოყოს. ამაზე ჩვენც ვიმუშავებთ. პარლამენტში პროექტს შევიტანთ, რომ პატარა ახალი პარტიები საარჩევნო პერიოდში გარკეეული თანხით დაფინანდეს. პარალელურად, პარტიების რეგისტრაცია უნდა გართულდეს.

– ალბათ, კოდექსში უნდა ჩაიწეროს ზღვარი, რომ, ვთქვათ, მილიონიანი პარტია ბიუჯეტიდან აღარ დაფინანსდეს და დაფინანსდეს ახალი და პატარა პარტიები?

– ეგ ვერსიაც შეიძლება განვიხილოთ. ვიღაც იკითხავს: რატომ? იმიტომ, რომ აქ მთავარი დემოკრატიის პრინციპია. დემოკრატია ირღვევა, როდესაც მხოლოდ ერთეული პარტიები ფინანსდებიან.

– ანუ თანაბარი მდგომარეობა არ აქვთ?

– დიახ, თანაბრობისა და დემოკრატიის მოთხოვნაა, ახირება კი არ არის. თუ ჩვენ დემოკრატიულ საზოგადოებას ვაშენებთ, თანაბარი პირობები უნდა იყოს.

სატელევიზიო რეკლამებთან დაკავშირებითაც კოდექსში ცვლილებაა საჭირო. თუნდაც 40 პარტია მონაწილეობდეს, კანონით ყველა პარტიას თავისი კანდიდატების პროგრამების გაშუქების თანაბარი შესაძლებლობა უნდა მიეცეს. დღეს ასე არ ხდება.

საზოგადოებრივ მაუწყებელზე მთელი საარჩევნო კამპანიის პერიოდში თითო პარტიისთვის მინიმალური დრო – 5 წუთია გამოყოფილი. ეს ხომ კატასტროფაა. მე გამოვიყენე გამოყოფილი 5 წუთი. 5 წუთში პროგრამის პუნქტების ჩამოთვლასაც ვერ ასწრებ. ასეთი არათანაბარი საარჩევნო გარემოა მასმედიის მიმართულებითაც, რაც გამოსასწორებელია.

– პარლამენტში ოპოზიცია და გავლენიანი ოპოზიციური პარტიები კოდექსის გაუმჯობესებისთვის ერთიანად რატომ არ იბრძვიან, კანონი რომ შეიცვალოს? მერე კი ამბობენ, რესურსი გამოიყენესო.

– იმიტომ არ იბრძვიან, რომ რევოლუციისთვის ემზადებიან. საარჩევნო კოდექსში ბოლო დროს ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ ეს არ შეიცვალა. პარტიებს მთელ მსოფლიოში ბლოკების გაკეთების უფლება აქვთ, რაც არის პოლიტიკური პარტიისა და დემოკრატიის ანი და ბანი. ჩვენს ქვეყანაში ორ პარტიასაც არ შეუძლია კოალიციურად, ბლოკის სახით მიიღოს არჩევნებში მონაწილეობა. კოალიცია არჩევნების შემდეგ შექმენითო, რაც არასწორად მიმაჩნია. ეს არის ხარვეზი.

– უცხოელი დამკვირვებლები მუდმივად საუბრობენ არჩევნებში პოლარიზაციის არსებობაზე. ნაცმოძრაობასა და „ოცნებას“ შორის არაპოლარიზებული გარემო როგორ წარმოგიდგენიათ?

– არაპოლარიზებული გარემო იქნება, თუ კიდევ 4-5 პარტია 5-10% ხმებს მიიღებს. ამის მიღწევა შესაძლებელია.

– ანუ პოლარიზაციაში გულისხმობენ იმას, რომ ამომრჩეველთა ხმები ორ პარტიას შორის არ იყოს გადანაწილებული?

– დიახ. ერთი აღიარებს მეორეს, მეორე – პირველს. „ოცნება“ უკეთებს აღიარებას ნაცებს, ნაცები – ქოცებს და ერთმანეთთან დებატობენ. ამომრჩეველს სხვა არჩევანის საშუალებას არ უტოვებენ. ეს არის პოლარიზაცია.

– ეგ, მე მგონი, იმის ბრალია, რომ ორივე პარტიას დიდი ფინანსური შესაძლებლობები აქვს, დიდი რესურსი გააჩნია.

– ასეა. ევროპის ქვეყნებში პარტია 22-25%-ს რომ მიიღებს, ის პირველ ადგილზე გადის. კოალიციას შემდეგ პარლამენტში ქმნის და ერთმანეთს აკონტროლებენ. ჩვენთან პარტიამ 65% თუ არ მიიღო, არაფრად მიაჩნიათ. პარტიამ 60-65% რატომ უნდა მიიღოს, დიქტატურა ხომ არ არის? 25-30% რომ მიიღე, გადექი განზე და 5-10%-იან პარტიასთან ერთად შექმენი კოალიცია. ეს არ უნდათ.

– ნაცმოძრაობა რომ არ იყოს, კოალიციების შექმნის დრო დადგება?

– კარგი იქნება, თუ ნაცმოძრაობა პოლიტიკური ასპარეზიდან წავა, მაგრამ „ოცნება“ ცდილობს, ნაცმოძრაობა დიდხანს იყოს. ასევე, 10 წელი გადის და ნაცმოძრაობა ხალხმა კიდევ ვერ დაივიწყა. ვერ დაივიწყა ნაცრეჟიმის სიმწარეები. ამიტომ ნაცმოძრაობა კიდევ 10 წელი არჩევნებს ვერ მოიგებს. ხალხი ნაცრეჟიმის სიმწარეს არ დაივიწყებს, სანამ ნაწამები ადამიანები ამ ქვეყნიდან არ წავლენ. ნაცმოძრაობას ოპოზიციაში ყოფნა დიდხანს მოუწევს. ეს კი, როგორც წამალი, ისეა „ოცნებისთვის“ არჩევნების მოსაგებად.

„პარლამენტში ყოფნას აზრი არ აქვს, საკონსტიტუციო ცვლილებები არ იქნება“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ყოველგვარი კატეგორიების დაყოფის მიხედვით, ყოველგვარი სიმპათია-ანტიპათიის მიუხედავად, სრულიად ოპოზიცია ერთად უნდა დადგეს, ყველა, ვინც ბიძინა ივანიშვილს უპირისპირდება. უნდა იყოს შექმნილი საერთო ოპოზიციური შტაბი, სადაც არ იქნება იმაზე ზრუნვა ამ ეტაპზე, თუ ვინ იქნება პირველი და ვინ – მეორე. უნდა იყოს კოორდინირებული მოქმედებები, იმიტომ რომ, რაც არ უნდა დიდი იყოს ოპოზიციაში ნაციონალური მოძრაობის როლი და ნამდვილად დიდი მხარდაჭერა აქვს, მაგრამ, ცხადია, რომ მარტო ნაცმოძრაობა ვერ ერევა „ოცნებას“. რაც არ უნდა ბევრი იყოს სხვა პარტიები, ასევე ეს პარტიები ვერ ერევიან ივანიშვილს ენმ-ის გარეშე, ანუ ერთობა ერთადერთი გამოსავალია, რამაც, შესაძლოა, ხელისუფლების ცვლილება მოიტანოს.

– ერთი პასაჟი მომწვდა თქვენს ამ განცხადებაში. პირველობისთვის ბრძოლა მიმდინარეობდა ოპოზიციაში?

– არა, საერთოდ ვამბობ. ეგ პოლიტიკისთვის დამახასიათებელია. აბა რა იყო მანდატიანებად და უმანდატოებად დაყოფა?! მუდმივად იყო იმის მცდელობა, რომ თითქოს პოლიტიკური ელიტა გამოკვეთილიყო, მაგრამ, შეცდომა რომ აღმოჩნდა, ეს ყველამ დაინახა.

– მოლაპარაკებების დროს შიგნითაც იყო ერთგვარი საბნის გადაქაჩვის პრინციპით მოქმედება?

„სააკაშვილის ფაქტორი მნიშვნელოვანია. ფაქტია, „ოცნებას“ მისი კლინიკაში გადაყვანისაც კი ეშინია“

– არა. მოდით, ასე ვთქვათ, რომ ეს პოლიტიკისთვის დამახასიათებელია და ტრაგიკული არაფერია, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ მთავარი პრიორიტეტი ვადამდელი არჩევნების მოპოვება იყოს და შემდეგ, ბუნებრივია, არჩევნებზე ყველა პარტია შეეცდება, თავად იყოს პირველი. ამაში გასაკვირიც არაფერია.

– სააკაშვილმა თქვა, დამიხსენით ციხიდან და 10 დღეში გავისტუმრებ ამ ხელისუფლებასო. აქვს სააკაშვილს ამხელა ძალა?

– რა თქმა უნდა, სააკაშვილის ფაქტორი მნიშვნელოვანია. 10 დღეში, 20 დღეში თუ 6 თვეში ვერ გეტყვით, მაგრამ, ბუნებრივია, რომ მისმა ფაქტორმა გავლენა ნამდვილად იქონია და ამაზე ორი აზრი არ არსებობს. ის, რომ ხელისუფლებას სააკაშვილის ციხიდან გამოშვების კი არა და საავადმყოფოში გადაყვანისაც რომ ეშინია, ფაქტია.

– რატომ ჯიუტობს ასე? ეს პოლიტიკური ვაჭრობის თემაა თუ უფრო სხვა რამესთან გვაქვს საქმე?

– ვერ გეტყვით. რასაც ხელისუფლება სააკაშვილის საავადმყოფოში გადაყვანასთან დაკავშირებით აკეთებს, არანაირ ცივილიზებულ ნორმასა და სქემაში არ ჯდება, მაგრამ ეს იმის ნიშანია საზოგადოებისთვის, რომ მან იფიქროს, როდესაც მესამე პრეზიდენტს ასე ექცევიან, მე რომ ციხეში აღმოვჩნდე, წარმომიდგენია, მაშინ რა მოხდებაო. ესეც დაშინების ერთ-ერთი მეთოდია და სწორედ ამიტომ არ უნდა შევეგუოთ ამას.

– პოლიტიკას რომ შევეშვათ, რამდენად მორალურ ჩარჩოებში ჯდება ის ცინიკური განცხადებები, რომლებსაც ვისმენთ ხელისუფლებისგან? მდინარაძემ გვითხრა, 40 დღე ძლებს ადამიანი მშიერი და ველოდებით 41-ე დღესო. რას ნიშნავს ეს?

– არ მინდა, ცალ-ცალკე ვინმეზე კომენტარი გავაკეთო, მაგრამ ზოგადად ხელისუფლებამ ყოველგვარი მორალური სტანდარტი ამოწურა და გადააბიჯა. ჯერჯერობით გასდის. იცით, ასეთი გამოთქმა რომ არის, ბავშვი ტირისო. ეკითხებიან, რატომ ტირიო? გამდის და იმიტომო. გასდის ხელისუფლებას და იმიტომ იქცევა ასე. ხალხი უფრო აქტიური რომ იყოს, მეტი ადამიანი რომ გამოდიოდეს ქუჩაში, ნაკლები ადამიანი რომ იყიდებოდეს, ნაკლები ადამიანი რომ ექვემდებარებოდეს ხელისუფლების შანტაჟს, მაშინ ხელისუფლება ამდენს ვერ გაბედავდა. ყველაფერი საზოგადოებაზეა დამოკიდებული. რამდენის უფლებასაც მივცემთ ხელისუფლებას, იმდენს გააკეთებს. რამდენადაც გავაფუჭებთ მას, იმდენად გაფუჭდება და გათავხედდება. ეს ელემენტარული ჭეშმარიტებაა. ამიტომ არის დემოკრატია ხალხის უზენაესობა და არა მარტო ერთი ჯგუფის მმართველობა. ამით განსხვავდება დემოკრატია სხვა ტიპის მმართველობისგან. იმედია, ოდესმე ჩვენს ქვეყანაშიც ასე იქნება.

– ალბათ ნახავდით ბიულეტენს, სადაც ადამიანს ჯერ შემოხაზული აქვს კახა კალაძე, ალბათ – ფოტოს გადასაღებად. შემდეგ მინიშნებაა, რომ სამსახურის დაკარგვის ეშინია, შემდეგ გადახაზულია და ნიკა მელიაა შემოხაზული. რის სიმპტომია ეს?

– იმის, რაც ხდება ქვეყანაში, რაც მოხდა, როდესაც საჯარო მოხელეები ჩამოიყვანეს თბილისში და ადამიანებმა ზუსტად იცოდნენ, რომ თუ „ოცნების“ აქციაზე არ წამოვიდოდნენ, მათ გაათავისუფლებდნენ სამსახურებიდან. მე ვიცნობ რამდენიმე ადამიანს, რომლებიც ამ აქციაზე იყვნენ და რომლებიც მეუბნებოდნენ, აქციაზე კი მივდივარ, რათა სამსახური არ დავკარგო, მაგრამ შემოვხაზავ მელიასო. ძალიან მარტივია ეს ყველაფერი და ჩანს ხელისგულზე. მოსახლეობამ უნდა გადაწყვიტოს – ან ეგუება ბიძინა ივანიშვილის ბოსტანში ცხოვრებას, ან იბრძვის იმისთვის, რომ ღირსება დავიბრუნოთ. მე ვირჩევ ღირსებისთვის ბრძოლას.

ტაილანდელი ქალის მკვლელობაში ბრალდებული კალათბურთელი ვაჩე ცაკაშვილია

პროკურორი: „ვაჩე ცაკაშვილს სალონში მყოფი ყველა პირის მოკვლა სურდა“

ვერაზე ტრანსგენდერი ქალის მკვლელობაში ბრალდებული 23 წლის კალათბურთელი ვაჩე ცაკაშვილია.

მკვლელობა 31 ოქტომბერს, ღამით მოხდა. გამოძიების ინფორმაციით, ბრალდებულმა ცივი იარაღით სხეულზე მრავლობითი ჭრილობა მიაყენა თბილისში, ახვლედიანის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთ მასაჟის სალონში დასაქმებულ უცხო ქვეყნის მოქალაქე ტრანსგენდერ ქალს, რომელიც ადგილზევე გარდაიცვალა.

ბრალდებულმა იმავე სალონში მყოფ კიდევ ერთ ტრანსგენდერ ქალს სხეულზე დაზიანება მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

გუშინ, 3 ნოემბერს, საქართველოს პროკურატურამ ვაჩე ცაკაშვილს ბრალი წარუდგინა.

უწყების ცნობით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 31 ოქტომბერს ბრალდებული თბილისში, გ.ახვლედიანის ქუჩაზე მდებარე მასაჟის სალონში, გენდერული იდენტობის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, ტრანსგენდერების მოკვლის მიზნით მივიდა, სადაც ერთ-ერთ ტრანსგენდერ თანამშრომელს თავს დაესხა და სხეულის სხვადასხვა არეში დანით ჭრილობები მიაყენა.

მიღებული დაზიანებების შედეგად სალონის თანამშრომელი გარდაიცვალა. ბრალდებულმა ასევე, განზრახ მოკვლის მიზნით, დანით ჭრილობები მიაყენა სალონში მყოფ სხვა ტრანსგენდერ თანამშრომელს.

დაწესებულებაში მყოფი პირების მხრიდან წინააღმდეგობის გაწევის შემდეგ ბრალდებულმა ვერ შეძლო მასაჟის სალონში დასაქმებული თანამშრომლების მკვლელობის განზრახვის სისრულეში მოყვანა და შემთხვევის ადგილი დატოვა.

სამართალდამცველებმა ბრალდებული 2021 წლის 1 ნოემბერს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა) და 19,109-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ორი ან მეტი პირის განზრახ მკვლელობის მცდელობა) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 16 წლიდან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გუშინვე თბილისის საქალაქო სასამართლომ ვაჩე ცაკაშვილს პატიმრობა შეუფარდა.

პროცესს ესწრებოდა ბრალდებულიც, რომელმაც სხდომაზე განაცხადა, რომ წარდგენილ ბრალდებაში თავს დამნაშავედ არ ცნობს.

პროკურორის განმარტებით, თუ არ იქნებოდა გამოყენებული პატიმრობა, არსებობდა საფუძვლიანი ვარაუდი იმისა, რომ ცაკაშვილი მიიმალებოდა ან ჩაიდენდა ახალ დანაშაულს, ასევე, მხედველობაშია მისაღები საგამოძიებო მოქმედებები, გამოსაკითხია მოწმეები და არსებობს მათზე ზეწოლის საფრთხეები.

პროკურორის თქმით, დანაშაული ცივი იარაღით იქნა ჩადენილი.

დაცვის მხარე არ იზიარებს ბრალდების მხარის პოზიციას და მოწმეებზე ზემოქმედებისა და მიმალვის საფრთხეებს ვერ ხედავს. ადვოკატმა სასამართლოს აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს შუამდგომლობით მიმართა, გირაოს ოდენობა კი 15.000 ლარით განსაზღვრა. ადვოკატი ამბობს, რომ დანაშაული ვაჩე ცაკაშვილის მიერ ჩადენილი არ არის. ადვოკატის პოზიციას სრულად ეთანხმება თვითონ ბრალდებული და აღნიშნავს, რომ წარდგენილ ბრალდებაში თავს დამნაშავედ არ ცნობს.

პროკურორ გიორგი ქობულაძის განცხადებით, საქმის მასალებით ირკვევა, რომ ბრალდებულ ვაჩე ცაკაშვილს მასაჟის დაწესებულებაში არა მხოლოდ უცხო ქვეყნის მოქალაქის, არამედ დაწესებულებაში მყოფი ყველა პირის მკვლელობა სურდა.

როგორც სასამართლო სხდომის დასრულების შემდეგ პროკურორმა ჟურნალისტებს განუცხადა, ამოღებულია დანაშაულის იარაღი დანა, რითაც ვაჩე ცაკაშვილმა ტაილანდის მოქალაქე მოკლა.

გიორგი ქობულაძის თქმით, საქმის მასალების მიხედვით დგინდება, რომ ბრალდებული ვაჩე ცაკაშვილი და მოკლული ერთმანეთს არ იცნობდნენ.

– ისინი ერთმანეთს არ იცნობდნენ. მას, უბრალოდ, უნდოდა ნებისმიერი იმ პირის მკვლელობა, ვინც დაწესებულებაში იმყოფებოდა კონკრეტულ დღეს და, უბრალოდ, პირველი ვინც შეხვდა, ეს იყო გარდაცვლილი და მიაყენა მას დაზიანებები.

ცაკაშვილი ნამყოფი იყო ამ დაწესებულებაში და ვიზიტის შემდეგ გადაწყვიტა, რომ განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის ადამიანების მიმართ განეხორციელებინა მსგავსი ქმედებები. სწორედ ამ მიზნით მივიდა კონკრეტულ დღეს შემთხვევის ადგილას.

გამოძიების მასალების მიხედვით მისი სურვილი იყო ყველა იქ მყოფი პირის მკვლელობა. რაც მოახერხა, ეს იყო პირველივე მათგანის მოკვლა, ვინც კარები გააღო. ასევე, კიდევ ერთ პირს დაარტყა დანა, დანარჩენებმა მოახერხეს მისი წინააღმდეგობის გაწევა, – განაცხადა პროკურორმა გიორგი ქობულაძემ და განმარტა, რომ ამის თქმის საფუძველს ბრალდებულის ქცევა იძლევა.

– ანუ იღება კარი და დაუყოვნებლივ, ყოველგვარი რაიმე საუბრის, შელაპარაკების გარეშე ბრალდებული იწყებს თავდასხმას. თავს ესხმის სწორედ იმ პირს, ვინც კარი გააღო, რომელიც მის მიერ მიყენებული დაზიანებების შედეგად გარდაიცვალა. შემდეგ, ასევე დანის გამოყენებით ცდილობს, დაზიანებები მიაყენოს სხვა პირებსაც, ანუ ობიექტური რეალობაა იმგვარი, რომ მას სურდა ყველა იქ მყოფისთვის სიცოცხლის მოსპობა, – განაცხადა ქობულაძემ.

პროკურორის თქმით, ბრალდებული ობიექტზე რამდენიმე თვის წინ იყო, შემდეგ კვლავ დაბრუნდა განზრახვის სისრულეში მოსაყვანად.

– ამ ეტაპზე რაც არის დადგენილი, ირკვევა, რომ ვაჩე ცაკაშვილი მასაჟის ობიექტზე წარსულში მინიმუმ ერთხელ არის ნამყოფი, მაგრამ ამოღებულია დაწესებულების ვიდეოჩაწერი და შესწავლის შემდეგ გაირკვევა, რეალურად რამდენჯერ იყო დაწესებულებაში, – დასძინა პროკურორმა ქობულაძემ.

სასამართლოში „რუსთავი 2“-ის საქმეზე ბრალდების მხარის მოწმეები დაიკითხნენ

თბილისის საქალაქო სასამართლოში „მთავარი არხის“ ერთ-ერთი დამფუძნებლის, ნიკა გვარამიას, კახაბერ დამენიასა და ზურაბ იაშვილის სასამართლო პროცესი გაიმართა.

სხდომას ბრალდებული ნიკა გვარამია არ ესწრებოდა.

სასამართლო პროცესზე ბრალდების მხარის სამი მოწმის დაკითხვა მიმდინარეობდა.

როგორც ნიკა გვარამიას ადვოკატმა დიმიტრი საძაგლიშვილმა სასამართლო სხდომის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, სასამართლომ მათ უთხრა, რომ „საქმის განხილვის ტემპი დააჩქარონ“.

– სამი აუდიტორი დაიკითხა. პრინციპში, მათი დაკითხვა სასამართლოზე მნიშვნელოვანი არ ყოფილა, იმიტომ რომ, როგორც სხვა მოწმეებმა, არც მათ მიერ მიწოდებული ინფორმაციით არ დგინდება რაიმე დანაშაულის არსებობა. ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ პროცესის შემდეგ სასამართლომ გვითხრა, აუცილებლად უნდა ავაჩქაროთ საქმის განხილვის ტემპი, რადგან ორწლიანი ვადა ამ საქმეზე დეკემბრის ბოლოს იწურება. ეს არგუმენტი სასაცილოა ჩვენთვის იმიტომ, რომ კარგად ვიცით, თუ როგორ ეკიდება სასამართლო ზოგადად ვადების საკითხს იქ, სადაც ამის პოლიტიკური ინტერესია. სააკაშვილზე ვითხოვთ, რომ ჩაინიშნოს სასამართლო პროცესი და იქ ორ წელზე მეტად ბევრია გასული და არ ინიშნება ეს პროცესი.

როდესაც სჭირდებათ, ვადებთან დაკავშირებული მოთხოვნები არსებობს და როდესაც სჭირდებათ, არ არსებობს. გვარამიას შემთხვევაში გადაწყდა, რომ ეს პროცესი დააჩქარონ. არ ვიცი, რა პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღო ხელისუფლებამ. ბუნებრივია, ჩვენ არ ველოდებით მიუკერძოებელ გადაწყვეტილებას ამ საქმეზე, – განაცხადა ადვოკატმა და აღნიშნა, რომ „ფაქტია, არჩევნების დასრულებიდან მალევე მოხდა გადაწყვეტილების მიღება პროცესის დაჩქარებაზე“.

რაც შეეხება საქმის პროკურორს, როგორც სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ ზვიად გუბელაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, სასამართლო პროცესი ისევე, როგორც აქამდე, ჩვეულ რეჟიმში იმავე ტემპით გაგრძელდება.

– გრძელდება ბრალდების მხარის მტკიცებულებების გამოკვლევა. სასამართლო პროცესზე დაიკითხა ბრალდების მხარის სამი მოწმე. ესენი გახლდნენ აუდიტორები, რომლებმაც დაადასტურეს მათ მიერ გაცემული აუდიტის დასკვნა.

რაც შეეხება პროცესებს, კვირაში ერთხელ ყოველთვის ტარდებოდა აღნიშნული პროცესი, იყო გამოყოფილი კონკრეტული დღე, როდესაც ხდებოდა პროცესის ჩატარება და მტკიცებულებების გამოკვლევა. აღნიშნული რეჟიმით გაგრძელდა ისევ პროცესების ჩანიშვნა და ყოველკვირა თითო დღე გამოიყო იმისთვის, რომ ორივე მხარემ წარმოვადგინოთ მოპოვებული მტკიცებულებები.

უბრალოდ, მოსამართლემ გააჟღერა ორწლიანი ვადა, რომელიც წლის ბოლოსკენ იწურება, თუ იქნებოდა შესაძლებელი ამ ვადაში მტკიცებულებების ამოწურვა, – განაცხადა პროკურორმა.

გენერალურმა პროკურატურამ 6 სექტემბერს „რუსთავი 2“-ის საქმეზე ბრალი ნიკა გვარამიას, ასევე „რუსთავი 2“-ის ყოფილ ფინანსურ დირექტორ კახა დამენიასა და „ინტერ მედია პლიუსის“ დირექტორ ზურაბ იაშვილს წაუყენა.

ნიკა გვარამიას ბრალად ედება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ დიდი ოდენობით „რუსთავი 2“-ის კუთვნილი ქონებრივი უფლების გაფლანგვა, კომერციული მოსყიდვა და ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია.

ნიკა გვარამიას ასევე ბრალად ედება სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება. გვარამიას აღკვეთის ღონისძიების სახით 40.000-ლარიანი გირაო შეეფარდა, ამასთან, მას ქვეყნიდან გასვლის უფლება შეეზღუდა. კახა დამენიას გამოძიება სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის კუთვნილი ქონებრივი უფლების დიდი ოდენობით მართლსაწინააღმდეგო გაფლანგვას ედავება, რაც ჩადენილ იქნა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით. დამენიას აღკვეთის ღონისძიების სახით 50.000-ლარიანი გირაო შეეფარდა. მას ასევე აეკრძალა სახელმწიფო საზღვრის დატოვება საგამოძიებო ორგანოს ინფორმირებისა და თანხმობის გარეშე.

რაც შეეხება ზურაბ იაშვილს, მას ბრალად ედება კომერციული მოსყიდვა და ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება. იაშვილს აღკვეთის ღონისძიების სახით 50.000-ლარიანი გირაო აქვს შეფარდებული.

მეგის ქარდავამ პროტესტის ნიშნად სასამართლო დატოვა

სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ყოფილმა უფროსმა მეგის ქარდავამ პროტესტის ნიშნად თბილისის საქალაქო სასამართლოს სხდომათა დარბაზი დატოვა.

ამის მიზეზად ქარდავამ ის ფაქტი დაასახელა, რომ წარდგენილ ბრალდებაში თავს დამნაშავედ არ ცნობს და „ჩინჩალაძე-მურუსიძის სასამართლოში“ სამართალს ვერ იპოვის.

ქარდავას განმარტებით, ის, მისი ძმა და მეგობრები საქართველოს უსაფრთხოებას იცავდნენ.

– არსებობს პოლიტიკური ნება და პოლიტიკური დევნა იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც საქართველოს უსაფრთხოებასა და სტაბილურობას იცავდნენ, ხოლო ეს ყოველივე პოლიტიკურადაა მოტივირებული. ყველა მტკიცებულება გაყალბებულია, ჩვენებები მიღებულია შურისძიების, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის საფუძველზე და, აქედან გამომდინარე, ვინაიდან არანაირი ნდობა არ გამაჩნია იმისა, რომ აქ ჭეშმარიტება და ობიექტური განაჩენი დადგება, პროტესტის ნიშნად დარბაზს ვტოვებ.

მჯერა, რომ მალე დადგება დრო, რომ ის ადამიანები, რომლებიც ჩემი ძმისა და მეგობრების პოლიტიკურ დევნაში მონაწილეობდნენ, წარდგებიან არა მურუსიძე-ჩინჩალაძის სასამართლოში, არამედ ქართველი ხალხის სამსჯავროზე. ვერ დაიმალებიან ვერც პარიზში, ვერც ნიუ იორკში, – განაცხადა ქარდავამ.

პროკურორ დავით კიკაჩეიშვილის განცხადებით, ბრალდების მხარეს გააჩნია საკმარისი მტკიცებულებები, რითაც მეგის ქარდავას ბრალდების საქმეზე გამომტყუნებელი განაჩენი დადგება.

პროკურორის განმარტებით, ბრალდების მხარე წარმოადგენს მოწმეებს, დაზარალებულებს, ასევე მტკიცებულებებს, რომლებიც ქარდავას საქმეში ციხეში პატიმრების წამებასთან დაკავშირებით არსებობს.

– საქართველოში მის მიმართ არსებული სისხლის სამართლის 11 საქმიდან სისხლის სამართლის 5 საქმეზე უკვე არსებობს გამამტყუნებელი განაჩენი, მათ შორის, ისეთ მძიმე კატეგორიის დანაშაულის საქმეებზე, როგორებიც არის სერგო თეთრაძის წამებისა და „კასრების საქმე“, რაზეც მას ამნისტიის შესახებ საქართველოს კანონის გამოყენებით მისჯილი აქვს 9 წლით თავისუფლების აღკვეთა. ასევე ის მსჯავრდებულია ე.წ. ციხის ბუნტისა და ნავთლუღის სპეცოპერაციის საქმეზე პატიმართა წამების ფაქტებზე. მიმდინარე 6 სისხლის სამართლის საქმიდან ერთ-ერთი იყო ის საქმე, რომლის პროცესიც გაიმართა, რაც პენიტენციურ დაწესებულებაში 3 პატიმრის წამების ფაქტს ეხება.

რაც შეეხება მტკიცებულებებს, ბრალდების მხარემ წარადგინა ერთობლიობა, რაც გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით საკმარისი იქნება გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის თვალსაზრისით, – განაცხადა დავით კიკაჩეიშვილმა.

მეგის ქარდავას უკრაინიდან საქართველოში ექსტრადირება 17 სექტემბერს მოხდა. მის წინააღმდეგ წარმოებული სისხლის სამართლის 5 საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენია დამდგარი, 6 საქმეზე კი სასამართლო პროცესები მიმდინარეობს.

მეგის ქარდავას მიმართ რამდენიმე საქმეზე, მათ შორის ნავთლუღის სპეცოპერაციის, „ციხის ბუნტის“, სერგო თეთრაძის, ე.წ. კასრების საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენია დამდგარი.

ხაშურში მურთაზ მაჩხაშვილისა და დედამისის ცემას დაჩი ტაბატაძეს აბრალებენ

ხაშურში მცხოვრები შშმ პირის მურთაზ მაჩხაშვილისა და დედამისის ცემისთვის ამ დრომდე არავინ დაუკავებიათ.

შემთხვევა 23 ოქტომბერს მოხდა.

„ფორმულასთან“ საუბრისას მაჩხაშვილის დედა ფიზიკურ ძალადობაში საკუთარ მეზობელს დაჩი ტაბატაძეს ადანაშაულებს და ყვება, რომ მომხდარზე პოლიციას რეაგირება არ ჰქონია, რის შემდეგაც ოჯახის წევრებმა გენერალურ ინსპექციას მიმართეს. ამის შემდეგ მურთაზ მაჩხაშვილი გამოკითხვაზე დაიბარეს, თუმცა საქმე მალევე დახურეს.

ამ თემაზე საუბრობს მაჩხაშვილების მეზობელიც, რომელიც ყვება, რომ დაჩი ტაბატაძეს ბიზნესმენ ვალერი გელაშვილის ძმა მფარველობს, რის გამოც მას პოლიცია არ აკავებს.

– 23 რიცხვი იყო, დილის 5 საათი დაახლოებით. შევარდნია მათ ოჯახში სრულიად უსაფუძვლოდ, სავარაუდოდ, ალკოჰოლური თრობის ქვეშ. ჯერ შვილს მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა, დედამისი გასულა პოლიციის დასაძახებლად, თუმცა ამ ბიჭს დედისთვისაც ჩაურტყამს წიხლი. სანდო წყაროსგან მოწოდებული ინფორმაციით, ამ ოჯახს მფარველობს ვალერი გელაშვილის ძმა, რის გამოც პოლიციელები შესაბამის რეაგირებას არ ახდენენ, – ამბობს მეზობელი.

„ფორმულამ“ ინფორმაციის გადამოწმება ხაშურის პოლიციის სამმართველოში ცადა, თუმცა ჟურნალისტის კითხვებს განყოფილებაში არ უპასუხეს. რაც შეეხება ვალერი გელაშვილს, ის ადასტურებს, რომ წლების წინ დაჩი ტაბატაძე მის ძმასთან მუშაობდა, თუმცა მათი ოჯახის მხრიდან დაჩი ტაბატაძის მფარველობას უარყოფს.

ყალბი საგადასახადო დოკუმენტების დამზადება-გამოყენების ფაქტზე ერთ პირს ბრალი წარედგინა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ყალბი საგადასახადო და სხვა ოფიციალური დოკუმენტების დამზადება-გამოყენების, დიდი ოდენობით ქონებრივი უფლების მოტყუებით დაუფლების მცდელობისა და სახელმწიფოს მოტყუებით დიდი ოდენობით ქონებრივი დაზიანების ფაქტზე ბრალდებულის სახით პასუხისგებაში ერთი პირი მისცეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, უკანონო მატერიალური სარგებლის მიღებისა და დღგ-ს ყალბი აქტივების შექმნის მიზნით, მისი ფაქტობრივი მართვის ქვეშ მყოფი კომპანიების სახელით გაწერა 48.133.232 ლარის ღირებულების ყალბი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები, თითქოსდა განახორციელა სამშენებლო მასალების მიწოდება, რა გზითაც მისსავე კომპანიებს შეუქმნა ჯამში 6.697.835 ლარის ოდენობის ყალბი აქტივი, რის შემდეგაც ერთ-ერთი კომპანიის სახელით მოითხოვა კომპანიის პირადი აღრიცხვის ბარათზე არსებული ფიქტიურად შექმნილი ზედმეტობიდან თანხის ნაწილის – 804.381 ლარის უკან დაბრუნება.

საგამოძიებო მოქმედებების დროულად და ოპერატიულად განხორციელების შედეგად ბრალდებულმა, შექმნილი ყალბი აქტივიდან, შეძლო მხოლოდ 89.564 ლარის გამოყენება კომპანიების მიმდინარე საბიუჯეტო ვალდებულებების დასაფარად.

გამოძიება გრძელდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 210-ე მუხლის პირველი და 362-ე მუხლის მე-2 ნაწილებით, 180-ე და 185-ე მუხლების მე-3 ნაწილებით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 9 წლამდე ვადით.

რუსეთმა უკრაინის საზღვართან ახლოს სამხედრო ქვედანაყოფები დატოვა

რუსეთმა უკრაინის საზღვართან ახლოს ჩატარებული სამხედრო წვრთნების შემდეგ საკუთარი სამხედრო ქვედანაყოფები დატოვა და აღნიშნულ ტერიტორიაზე რუსი სამხედროების რაოდენობა 90.000-ს აღწევს.

ამის შესახებ უკრაინის თავდაცვის სამინისტროში განაცხადეს.

უწყების ცნობით, რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა მიმდინარე წლის მეორე ნახევრის განმავლობაში ფართომასშტაბიანი წვრთნების სერია ჩაატარეს, მათ შორის საჰაერო-სადესანტო ჯარების მონაწილეობით. წვრთნის შემდეგ კი 41-ე არმიის ქვედანაყოფები რუსეთის ევროპულ ნაწილში, უკრაინის საზღვრიდან დაახლოებით 260 კმ-ის მანძილზე დარჩნენ.

„აღსანიშნავია, რომ რუსეთის ფედერაცია პერიოდულად მიმართავს სამხედრო ნაწილების გადაადგილებისა და მობილიზაციის პრაქტიკას, რათა რეგიონში – დაძაბულობა, მეზობელ ქვეყნებზე კი პოლიტიკური ზეწოლა შეინარჩუნოს“, – აცხადებენ უწყებაში.

უკრაინის თავდაცვის სამინისტრომ ორი დღის წინ უარყო მედიაში გავრცელებული ინფორმაცია ქვეყნის საზღვართან რუსი სამხედროების თავმოყრის შესახებ და განაცხადა, რომ სამხედრო ძალების ან შეიარაღების ზრდა არ დაუფიქსირებიათ.

მიმდინარე წლის გაზაფხულზე მოსკოვმა უკრაინის საზღვრის გასწვრივ 100.000-ზე მეტი ჯარისკაცის მობილიზება განახორციელა, რამაც კიევისა და დასავლეთის დედაქალაქების შეშფოთება გამოიწვია, თუმცა რუსეთმა სამხედროები მოგვიანებით ბაზაზე დააბრუნა.

ნიუ იორკის ახალი მერი ერიკ ადამსი გახდა

ნიუ იორკის მერის არჩევნებში დემოკრატმა კანდიდატმა, ნიუ იორკის პოლიციის ყოფილმა კაპიტანმა ერიკ ადამსმა გაიმარჯვა.



ადამსი, რომელმაც რესპუბლიკელი მეტოქე კერტის სლივა იოლად დაამარცხა, ნიუ იორკის მეორე აფროამერიკელი მერი იქნება.

61 წლის ადამსი მერის პოსტს ოფიციალურად იანვარში დემოკრატ ბილ დე ბლაზიოსგან გადაიბარებს, რომელიც 8 წელია, ნიუ იორკის მერია და თანამდებობაზე ყოფნის ვადა ეწურება.

ნიგერიაში კორპუსის ჩამონგრევის შედეგად დაღუპულთა რაოდენობა 22-მდე გაიზარდა

ნიგერიის ქალაქ ლაგოსში მაღალსართულიანი მშენებარე საცხოვრებელი კორპუსის ჩამონგრევის შედეგად დაღუპულთა რაოდენობა 22-მდე გაიზარდა.

მაშველებმა 9 ადამიანი ნანგრევებიდან ცოცხალი გამოიყვანეს.

შტატის მთავარ არქიტექტორს უფლებამოსილება შეუჩერეს, რადგან მთავრობამ შენობის ჩამონგრევის მიზეზების დასადგენად გამოძიება დაიწყო. ნიგერიაში შენობების ნგრევის ფაქტები ხშირად ხდება, რადგან ქვეყანაში სამშენებლო მასალები ხშირ შემთხვევაში უხარისხოა, სამშენებლო რეგულაციებს კი არასათანადოდ იცავენ.

22-სართულიანი მშენებარე საცხოვრებელი კორპუსი ორშაბათს ჩამოინგრა.

დაკარგულად 100-მდე ადამიანი ითვლება.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ძროხამ დაჩაგრული ძაღლის გამო შური იძია

ინდოეთის სატყეო სამსახურის ოფიცერმა სუსანტა ნანდამ ტვიტერში გამოაქვეყნა ვიდეოჩანაწერი, რომელზეც ასახულია, თუ როგორ იძია შური ძროხამ ადამიანის მიერ დაჩაგრული ძაღლის გამო.

ვიდეოჩანაწერში ჩანს, თუ როგორ სტაცა ძაღლს კისერში ხელი უჯრედებიან პერანგსა და შარვალში გამოწყობილმა მამაკაცმა და მისი აწევა ცადა. მან ცხოველის საცოდავ წკმუტუნს ყურადღება არ მიაქცია და მისთვის ტკივილის მიყენებას აგრძელებდა.

მოულოდნელად კადრში შემოიჭრა ძროხა და მამაკაცს საცოდავი ძაღლი ხელიდან გააგდებინა. ამის შემდეგ ის მამაკაცს, რომელიც მოულოდნელობისგან გაოგნებული იყო და რეაგირება ვერ მოასწრო, თავს დაესხა. ვიდეოჩანაწერში ასახულია ის მომენტიც, როდესაც ძროხამ მამაკაცი მიწაზე დააგდო და ის რამდენიმე წამს ძირს ფორთხავდა.

აღნიშნულმა ვიდეომ გამოქვეყნებიდან ამ დრომდე 120 ათასზე მეტი ნახვა და სამი ათასამდე გაზიარება მოაგროვა. აღსანიშნავია, რომ თავიანთ კომენტარებში ინტერნეტმომხმარებლები არა მხოლოდ იმ მამაკაცს აკრიტიკებდნენ, რომელიც ცხოველს აწვალებდა, არამედ ვიდეოს ავტორსაც, რომელიც ძაღლს არ მიეხმარა.

ქალმა შეყვარებული სიცრუეში სარკის წყალობით ამხილა



ტიკტოკის მომხმარებელმა ისაუბრა იმის შესახებ, თუ როგორ მოახერხა სარკის დახმარებით, შეყვარებული სიცრუეში ემხილა.

ვიდეორგოლში ქალი, სახელად ტიფანი, ყვება, რომ ის და მისი პარტნიორი დივანზე თავშექცევით იწვნენ. მან გადაწყვიტა შეემოწმებინა, თუ რით იყო დაკავებული მისი შეყვარებული და ამისთვის სარკის გამოყენება გადაწყვიტა. მან პატარა სარკე ფეხის თითებით დაიჭირა და შეუმჩნევლად ჩაიხედა მამაკაცის ტელეფონში.

ამის შემდეგ მან შეყვარებულს ჰკითხა, თუ რას აკეთებდა, რაზეც მან უპასუხა, რომ ეგზოტიკურ ავტომობილებს ეძებდა, ვინაიდან ყოველთვის სურდა, ასეთი მანქანა ჰყოლოდა, თუმცა ტიფანი ხედავდა, რომ ამ დროს მამაკაცი ნახევრად შიშველი ქალების ფოტოსურათების თვალიერებით იყო დაკავებული და გადაწყვიტა, ემხილა.

ტიფანის მიერ გამოქვეყნებული ვიდეოს ბოლოში მამაკაცი მას ლურჯ ბუგატის აჩვენებს, რომლის გამოსახულებაც მსგავსი შემთხვევისთვის საგანგებოდ ჰქონდა შენახული, შემდეგ კი ისევ ნახევრადშიშველი ქალის, კერძოდ, წითელბიკინიანის სურათების თვალიერება გაგრძელა. ამაზე ტიფანიმ მამაკაცს უთხრა: „ჰო, მე წითელი უფრო მომწონს“ და მამაკაცი მიხვდა, რომ ის ამხილეს.

მეთევზემ უზარმაზარი ორაგული დაიჭირა და ახალი რეკორდი დაამყარა

ამერიკის ნიუ-ჯერსის შტატში მეთევზემ უზარმაზარი 3,9-კილოგრამიანი ორაგული დაიჭირა და შტატის ახალი რეკორდი დაამყარა. აღნიშნულ ინფორმაციას საკუთარ ოფიციალურ გვერდზე შტატის ბუნებისა და მეთევზეობის დაცვის დეპარტამენტი აქვეყნებს.

30 სექტემბერს ჯო სატკოვსკი მერილ-კრიკის წყალსაცავში თევზაობდა. თევზის დასაჭერად ის სპინინგს იყენებდა, ხოლო სატყუარად – თვითნაკეთ ჯიგს. მალევე მამაკაცის ანკესზე უზარმაზარი ორაგული წამოეგო.

მას შემდეგ, რაც სატკოვსკიმ ნადავლი წყლიდან ამოიყვანა, ის გაზომეს და აწონეს. ორაგულის სიგრძემ – 66 სანტიმეტრი, გარშემოწერილობამ – 41,2 სანტიმეტრი, ხოლო წონამ 3,9 კილოგრამი შეადგინა.

ნიუ-ჯერსის შტატის ბუნებისა და მეთევზეობის დაცვის დეპარტამენტმა დაადასტურა, რომ სატკოვსკიმ ახალი რეკორდი დაამყარა. ადრინდელი 2018 წელს დამყარდა და მაშინ დაჭერილი ორაგული ამჟამინდელს 141 გრამით ჩამორჩებოდა.

ქალმა შამპანური დალია, სიგარეტი გააბოლა და საყვარელი სიმღერის ფონზე გარდაიცვალა

შვეიცარიაში 76 წლის ქალმა დალია ბოკალი შამპანური, სიგარეტი მოსწია და მეგობრების თანდასწრებითა და საყვარელი სიმღერის ფონზე ევთანაზია გადაიტანა.

დიდი ბრიტანეთის მკვიდრ დოუენ ბოის-კუპერს ართრიტი, ტვინში განუწყვეტელი სისხლჩაქცევა და ეპილეფსია ტანჯავდა. შეუწყვეტელი ტკივილებით დატანჯულმა ქალმა ექიმების დახმარებით სიკვდილის უფლების მოსაპოვებლად ბრძოლა დაიწყო, მაგრამ მას ამაზე უარი ეთქვა და იძულებული გახდა, შვეიცარიაში გამგზავრებულიყო.

– ადამიანები ხშირად მეუბნებიან: „შენ შესანიშნავად და ახალგაზრდულად გამოიყურები, მხოლოდ ცოტას კოჭლობ, სულ ეგ არის!“ მაგრამ მათ არ იციან, სინამდვილეში რა ხდება ჩემს ორგანიზმში, არაფერი იციან იმ ტკივილებსა და სირთულეებზე, რომლებსაც მე ყოველდღე ვაწყდები, – განაცხადა ბოის-კუპერმა.

შვეიცარიის საავადმყოფოში ბრიტანელი ორმა ექიმმა გასინჯა მანამდე, სანამ იმ საავადმყოფოში გადაიყვანდნენ, სადაც ყოველკვირა საკუთარი ნებით ასრულებს სიცოცხლეს ორი ადამიანი. საავადმყოფო, სადაც ბრიტანელი ბოლოჯერ შეხვდა მეგობრებს, ქალაქგარეთ მდებარეობს და მისი პალატების ფანჯრები ტყეზე გადის.

– აქ ძალიან ლამაზი ტერიტორიაა, ხეებით შემოფარგლული. ეს სიკვდილისთვის ყველაზე ლამაზი ადგილია, – აღნიშნა ქალმა ევთანაზიამდე მცირე ხნით ადრე. სასიკვდილო ინექციის მიღებამდე ქალმა გარდაცვალების მოწმობას მოაწერა ხელი.

ინსტაგრამმოდელი დედის ციხიდან გაქცევის ორგანიზებაშია ეჭვმიტანილი

კოლუმბიის დედაქალაქ ბოგოტაში 21 წლის ინსტაგრამმოდელი საპატიმროდან დედის გაქცევის ორგანიზებაში ეჭვმიტანილად ცნეს.

2019 წელს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს 38 წლის პოლიტიკოს აიდი მერლანო რებოლედოს. არჩევნებში გამარჯვებისა და სენატორად გახდომის შემდეგ ქალი საარჩევნო კომპანიის წარმართვის წესების დარღვევაში, ამომრჩეველთა ხმების მისაკუთრებაში, კორუფციასა და იარაღის უკანონოდ ფლობაში ეჭვმიტანილად ცნეს. მალევე მას ბრალდება წაუყენეს და დააპატიმრეს, თუმცა სულ რაღაც ორ კვირაში მან საპატიმროდან გაქცევა მოახერხა.

გაქცევა იმ დღეს მოხდა, როდესაც რებოლედო ციხის დაცვის თანხლებით კბილის ექიმთან გადაჰყავდათ. ის ექიმის კაბინეტში შევიდა, ხოლოდ დაცვა კაბინეტის კართან განთავსდა. შემდეგ ექიმმა ქალი რაღაც დროით კაბინეტში მარტო დატოვა და მან ამ დროს ფანჯრიდან გაქცევა მოასწრო. თოკით ქვევით ჩასულმა ქალმა ის გაოცებულ გამვლელს მისცა, თვითონ კი მოტოციკლზე დაჯდა, რომელსაც უცნობი მამაკაცი მართავდა, თავზე ჩაფხუტი დაიხურა და გაუჩინარდა. გაქცეული ქალი სამი თვის შემდეგ ვენესუელაში დააპატიმრეს.

ამ გაქცევის ორგანიზებაში ქალის მერლანო რებოლედოს შვილი ცნობილი ინსტაგრამ-მოდელი აიდა ვიქტორიაა ეჭვმიტანილი, რომელიც დანაშაული ორგანიზების ბრალდებას უარყოფს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იანე ანდერსონი: „საქართველო კარგი გუნდია“

11 ნოემბერს საქართველოს საფეხბურთო ნაკრები 2022 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ჯგუფური ეტაპის ბოლო მატჩს შვედეთის ნაკრებთან ბათუმში გამართავს. აჭარის შემდეგ შვედეთი ესპანეთში გაემგზავრება და ჯგუფის ცენტრალურ მატჩში გადაწყდება, თუ ვინ გავა მსოფლიო ჩემპიონატზე.

სკანდინავიელთა თავკაცმა იანე ანდერსონმა საქართველოსა და ესპანეთში წამოსვლის წინ შემადგენლობაც დაასახელა და ჟურნალისტების კითხვებსაც უპასუხა.

– მთავრდება მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი. როგორი გრძნობა გეუფლებათ ბოლო მატჩების წინ?

– ერთი მხრივ, ძალიან სახალისოც კია. მთავრდება შესარჩევი ციკლი და ყველა იმ კითხვას პასუხი უნდა გაეცეს პასუხი, რომლებიც აქამდე დაისვა, ყველაფერი უნდა შეჯამდეს... ჩვენ კარგ მდგომარეობაში ვართ და ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ასეთივე ბედნიერები ვიყოთ შესარჩევი ციკლის ბოლოს. გვაქვს უპირატესობა და უნდა ვისარგებლოთ ამით.

– 2 გასვლითი მატჩი გელით. ძალიან რთული იქნება. როგორ ემზადებით?

– ჩვენმა ფეხბურთელებმა იციან, როგორ უნდა ითამაშონ ამ მატჩებში. ამ 2 მატჩს შორის მცირე დროა და ასეთ სიტუაციაში მოგვიწევს მაქსიმუმის გაკეთება. ფეხბურთელები კარგად იცნობენ ერთმანეთს. ეს ჩვენი პლუსია. მნიშვნელოვანია, რომ საქართველოსთან მატჩის წინ ყველა ჯანმრთელად იყოს. დიახ, ჩვენ ჯერ მხოლოდ საქართველოსთან თამაშზე ვფიქრობთ.

– რას იტყვით ნახევარდაცვის პრობლემებზე?

– კი, არიან ტრავმირებული ფეხბურთელები, რომელთაც აქვთ სარეაბილიტაციო პერიოდი. მაგრამ, რას ვიზამთ, ახლა ამაზე ლაპარაკს აზრი არ აქვს, ნებისმიერ სიტუაციაში საქმეა გასაკეთებელი.

– ისევ შეიყვანეთ სანაკრებო სიაში ზლატან იბრაჰიმოვიჩი.

– მჯერა, ზლატანი დიდ წვლილს შეიტანს გუნდის წარმატებაში. მას ძალიან უნდა ეროვნულ გუნდში თამაში. ის დიდებული ფეხბურთელია.

– პირველი გასვლითი შეხვედრა საქართველოში გაქვთ. რას იტყვით ამ მატჩზე?

– ვიცით, რომ მეტოქე კარგი გუნდია, კარგად ორგანიზებული, ჰყავს კარგი ფეხბურთელები. თუმცა, ოპონენტი როგორიც არ უნდა იყოს, ჩვენი საქმე უნდა გავაკეთოთ, უნდა უზრუნველვყოთ ის, რომ ჩვენმა ფეხბურთელებმა კარგად ითამაშონ და სასურველ შედეგს მიაღწიონ.

– საქართველოს შემდეგ გასვლითი მატჩი გელით ესპანეთთან.

– ესპანეთი არის მსოფლიო კლასის გუნდი. ბოლო 2 წლის განმავლობაში მათ მეხუთედ ვეთამაშებით და, აქედან გამომდინარე, მეტოქეს ძალიან კარგად ვიცნობთ. ბოლო 4-დან მხოლოდ ერთი თამაში მოვუგეთ, 2 ფრედ ვითამაშეთ და ერთი წავაგეთ. ახლა ეს არის კონკრეტული მატჩი და მას ისე უნდა მივუდგეთ, როგორც ახალ გამოწვევას.

ანდერსონს საქართველოში ასეთი შემადგენლობა მოჰყავს:

მეკარეები: პონტუს დალბერგი (დონკასტერი, ინგლისი), კრისტოფერ ნორდფელდტი (აიკი), რობინ ოლსენი (შეფილდი, ინგლისი);

მცველები: ლუდვიგ აუგუსტინსონი (სევილია, ესპანეთი), სებასტიან ჰოლმენი (რიზე, თურქეთი), ემილ კრაფტი (ნიუკასლი, ინგლისი), ალექსანდერ მილოშევიჩი (აიკი), იოაკიმ ნილსონი (არმინია, გერმანია), ვიქტორ ლინდელოფი (მანჩესტერი, ინგლისი), მარტინ ოლსონი (მალმიო), დანიელ სუნდგრენი (არისი, საბერძნეთი);

ნახევარმცველები: იენს-ლის კაიუსტე (მიდტიულანდი, დანია), ვიქტორ კლესონი (კრასნოდარი, რუსეთი), ალბინ ეკდალი (სამპდორია, იტალია), მაგნუს ერიქსონი (დიურგარდენი), ემილ ფორსბერგი (ლაიფციგი, გერმანია), მათიას სვანბერგი (ბოლონია, იტალია), იესპერ კარლსონი (ალკმაარი, ნიდერლანდები), კრისტოფერ ოლსონი (ანდერლეხტი, ბელგია), კენ სემა (უოტფორდი, ინგლისი), ოსკარ ლევიცკი (მალმიო);

თავდამსხმელები: ზლატან იბრაჰიმოვიჩი (მილანი, იტალია), ვიქტორ დიოკერეში (ქოვენთრი, ინგლისი), ალექსანდერ ისაკი (სოსიედადი, ესპანეთი), დეიან კულუშევსკი (იუვენტუსი, იტალია), რობინ კუაისონმ (ალ-ეტიფაქი, საუდის არაბეთი).

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ბაიერნი და იუვენტუსი ფლეი ოფში გავიდნენ

ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის მეოთხე ტურის პირველი სათამაშო დღე ლოგიკური ანგარიშებით დასრულდა.

ე ჯგუფი

ბაიერნი-ბენფიკა 5:2

1:0 ლევანდოვსკი (26), 2:0 გნაბარი (32), 2:1 მორატო (38), 3:1 სანე (49), 4:1 ლევანდოვსკი (61), 4:2 ნუნიესი (75), 5:2 ლევანდოვსკი (84)

ბავარიული კლუბი ჯგუფის უდავო ფავორიტი იყო და გასაკვირი სულაც არ არის, რომ ჯგუფური ეტაპის დასრულებამდე 2 ტურით ადრე უკვე მერვედფინალშია.

იულიან ნაგელსმანის შეგირდებმა ლისაბონის ბენფიკას შინაც იოლად მოუგეს – 5:2.

ამასთან, რობერტ ლევანდოვსკიმ პენალტი ვერ გაიტანა, მაგრამ პოლონელი ისედაც დიდი თავსატეხი იყო პორტუგალიური გუნდისთვის – 3 გოლი გაიტანა და საგოლე პასიც გააკეთა.

ბენფიკას კი ურთულესი ბრძოლები მოუწევს ფლეი ოფში გასასვლელად.

დინამო (კ)-ბარსელონა 0:1

0:1 ფატი (70)

სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი თამაში მოიგო ბარსელონამ, რომელმაც კიევის დინამოს სტუმრად ანსუ ფატის გვიანი გოლით მოუგო.

ერთადერთი გოლი 70-ე წუთზე და ბარსამ ფლეი ოფში გასვლის შანსი გაიუმჯობესა. ესპანურ გრანდს მომდევნო ტურში შინ ბენფიკასთან გამარჯვება სჭირდება, რაც მერვედფინალში გაიყვანს.

სატურნირო ცხრილი:

1.ბაიერნი	4	4	0	0	17-2	12
2.ბარსელონა	4	2	0	2	2-6	6
3.ბენფიკა	4	1	1	2	5-9	4
4.დინამო	4	0	1	3	0-7	1

ფ ჯგუფი

ატალანტა-მანჩესტერი 2:2

1:0 ილიჩიჩი (12), 1:1 რონალდო (45), 2:1 საპატა (56), 2:2 რონალდო (90)

პორტუგალიელმა ვარსკვლავმა კრისტიანუ რონალდუმ კიდევ ერთხელ იხსნა მანჩესტერ იუნაიტედი.

ატალანტა ორჯერ იგებდა მატჩს, მაგრამ რონალდუმ ჯერ პირველი ტაიმის კომპენსირებულ დროში, ხოლო შემდეგ მატჩის ბოლო წამებზე გაიტანა და საკუთარ გუნდს ქულა მოუპოვა.

გეხსომებათ, ვილიარეალთან და ატალანტასთან გასულ მატჩებში პორტუგალიელმა გამარჯვების გოლები ბოლო წამებზე გაიტანა და, მანჩესტრულ გუნდს ფლეი ოფში გასვლის შანსი რომ აქვს, მისი დამსახურებაა.

ვილიარეალი-იანგ ბოიზი 2:0

1:0 კაპო (36), 2:0 დანიუმა (89)

ევროპის ლიგის გამარჯვებულმა ვილიარეალმა შინ 2:0 მოუგო იანგ ბოიზს და ფლეი ოფში გასვლის შანსს ინარჩუნებს. უნაი ემერის გუნდი ჯგუფში მეორე ადგილზეა, მაგრამ ურთულესი მატჩები დარჩა ჩასატარებელი.

იანგ ბოიზმა კი, რომელმაც ჯგუფური ეტაპი მანჩესტერთან სენსაციური გამარჯვებით დაიწყო, ზედიზედ მე-3 მატჩი წააგო და უმალ აუტსაიდერად იქცა.

სატურნირო ცხრილი:

1.მანჩესტერი	4	2	1	1	8-7	7
2.ვილიარელი	4	2	1	1	9-5	7
3.ატალანტა	4	1	2	1	7-7	5
4.იანგ ბოიზი	4	1	0	3	3-8	3

ჯ ჯგუფი

სევილია-ლილი 1:2

1:0 ოკამპოსი (15), 1:1 დევიდი (43), 1:2 იკონე (51)

ამ მატჩში სევილია ფავორიტად კი მიიჩნეოდა, მაგრამ არც ლილის გამარჯვება იყო დიდი მოულოდნელობა. მართალია, ფრანგულ კლუბს საკუთარ ჩემპიონატში საქმეები არცთუ კარგად აქვს, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ქვეყნის ჩემპიონია.

სევილია კი, პირიქით, შინაურ ჩემპიონატში კარგად ირჯება, მაგრამ ჩემპიონთა ლიგაზე ძალიან ცუდად თამაშობს. ხულენ ლოპეტეგის გუნდმა ზედიზედ 3 ფრის შემდეგ შინ ფრანგულ ლილთან წააგო და ჯგუფიდან გასვლის საკითხი ძალიან გაირთულა.

ლილი კი ფლეი ოფში გასვლის პრეტენზიას უკვე ხმამაღლა აცხადებს.

ვოლფსბურგი-ზალცბურგი 2:1

1:0 ბაკუ (4), 1:1 ვიობერი (30), 2:1 ნმეჩა (60)

ზალცბურგი გამარჯვების შემთხვევაში შემდეგ ეტაპზე გავიდოდა, მაგრამ ვოლფსბურგმა არ დაანება. ამასთან, გერმანულ გუნდს თავადაც ჰაერივით სჭირდებოდა ქულები.

ანგარიში უკვე მე-4 წუთზე გაიხსნა – ბაკუმ გაიტანა. თუმცა ტაიმი მაინც ფრედ დასრულდა – სტუმართა მცველმა მაქსიმილიან ვიოვერმა შესანიშნავი გოლი გაიტანა.

მე-2 ტაიმში არნოდლის პასის შემდეგ ლუკას ნმეჩამ ახლო მანძილიდან შეაგდო და ვოლფსბურგს მნიშვნელოვანი 3 ქულა მოუტანა – 2:1.

სატურნირო ცხრილი:

1.ზალცბურგი	4	2	1	1	7-5	7
2.ლილი	4	1	2	1	3-3	5
3.ვოლფსბურგი	4	1	2	1	4-5	5
4.სევილია	4	0	3	1	3-4	3

ჰ ჯგუფი

მალმიო-ჩელსი 0:1

0:1 ზიეში (56)

ჩელსის პირველ ტაიმში დიდი უპირატესობა ჰქონდა. მალმიოს მეკარეს 45 წუთში 7 მოგერიებული ბურთი დაუგროვდა. თუმცა 56-ე წუთზე ჩელსიმ თავისას მაინც მიაღწია – გოლი ჰაკიმ ზიეშმა შეაგდო და ლონდონელებმა 1:0 იმარჯვეს.

ახლა ჩელსის დარჩენილ 2 ტურში ქულაც ჰყოფნის, რომ ფლეი ოფში გავიდეს, მალმიოს კი ბრძოლა მაქსიმუმ ევროპის ლიგის საგზურისთვის შეუძლია და იქაც თითქმის უშანსოდ არის.

იუვენტუსი-ზენიტი 4:1

1:0 დიბალა (11), 1:1 ბონუჩი (26სკ), 2:1 დიბალა (58პ), 3:1 კიეზა (73), 4:1 მორატა (82), 4:2 აზმუნი (90)

ტურინის იუვენტუსი ჩემპიონთა ლიგაზე ფლეი ოფშია. არადა, მასიმილიანო ალეგრის გუნდი სერია ა-ში ძალიან ცუდად გამოიყურება.

ტურინელებმა ზენიტთან ლამაზი ფეხბურთი ითამაშეს და 4:2 მოიგეს. პაულო დიბალამ დუბლი შეასრულა და საგოლე პასიც გააკეთა. გაიტანეს ფედერიკო კიეზამ და ალვარო მორატამაც.

სატურნირო ცხრილი:

1.იუვენტუსი	4	4	0	0	9-2	12
2.ჩელსი	4	3	0	1	6-1	9
3.ზენიტი	4	1	0	3	6-6	3
4.მალმიო	4	0	0	4	0-12	0

შედეგები

2 ნოემბერი

ფეხბურთი

უეფას ჩემპიონთა ლიგა

ვოლფსბურგი-ზალცბურგი 2:1
მალმიო-ჩელსი 0:1
ატალანტა-მანჩესტერი 2:2
ბაიერნი-ბენფიკა 5:2
ვილიარეალი-იანგ ბოიზი 2:0
დინამო (კ)-ბარსელონა 0:1
სევილია-ლილი 1:2
იუვენტუსი-ზენიტი 4:2

ინგლისი. ჩემპიონლიგა

ბირმინგემი-ბრისტოლი 3:0
ქოვენთრი-სუონსი 1:2
ლუთონი-მიდსლბრო 3:1
მილუოლი-რედინგი 1:0
ნოტინგემი-შეფილდი 1:1
პიტერბრო-ჰადერსფილდი 1:1

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

პონფერადინა-უესკა 1:1
ხიხონი-ალმერია 0:1
ლეგანესი-კარტახენა 1:1

სანდრო მამუკელაშვილს „ოლ სტარს“ უწინასწარმეტყველებენ

ნბა-ს გასული სეზონის ჩემპიონმა მილუოკი ბაქსმა და ქართველმა კალათბურთელმა სანდრო მამუკელაშვილმა აღმოსავლეთ კონფერენციის აუტსაიდერის, დეტროიტის დამარცხება შეძლეს და ახალ სეზონში მეოთხე გამარჯვება იზეიმეს.

მილუოკელებმა 117:89 იმარჯვეს, სანდრომ კი 5:35 წუთი დაჰყო და 5 ქულა მოინაგრა. სანდრომ 2-ქულიანი და 3-ქულიანი ჩააგდო, ერთი საჯარიმო კი ააცილა.

მიუხედავად იმისა, რომ ქართველ კალათბურთელს ცოტა დრო ეძლევა, ამერიკული მედია კარგად აფასებს და ჩვენებურს „ოლ სტარში“ თამაშსაც უწინასწარმეტყველებს. სტატიის ავტორი მსოფლიოს საუკეთესო საკალათბურთო ლიგაში ჩვენებურის მოკლევადიან და გრძელვადიან პერსპექტივებს განიხილავს.

– მილუოკის ახალბედა სანდრო მამუკელაშვილმა, რომელიც დრაფტის მე-2 წრის ბოლოს აირჩიეს, პრესეზონის დროს მაღალი დონის თამაშით ფანები გააკვირვა. ბევრი (მათ შორის მეც) მიიჩნევდა, რომ ის გრაფიკს უსწრებდა და რეგულარულ სეზონში სათამაშო წუთები მიეცემოდა. მართალია, ტრავმების გამო მას დრო გარკვეულწილად მიეცა, მაგრამ ბევრი ფანი იმედგაცრუებული დარჩა იმით, რასაც მამუ ჯერჯერობით აჩვენებს. მართალია, ბაქსის ფანები ჯერაც ოპტიმისტებად რჩებიან და ასეც უნდა იყოს.

ფანები პირველად მაშინ გაოცდნენ, როცა სანდრომ არა სრულფასებიანი, არამედ მხოლოდ ორმხრივი კონტრაქტი მიიღო, რაც სულაც არ არის სრულფასოვანი ადგილი ბაქსის განაცხადში. ეს მაშინ, როცა წინასასეზონო მატჩებში მან ძლიერად ითამაშა. არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ პრესეზონი რეგულარულისგან დიდად განსხვავდება, ვარსკვლავები ცოტას თამაშობენ და არც ბოლომდე იხარჯებიან. მამუმ და სხვა ახალგაზრდებმა კი ამ თამაშებში ყველაფერი ჩადეს, რადგან მათთვის მნიშვნელოვანი იყო განაცხადში ადგილის დაბევება.

რეგულარული სეზონი დაიწყო და მამუს პრობლემები აქვს როგორც შეტევაში, ისე დაცვაში. ეს სულაც არ არის მოულოდნელი, დრაფტის ბოლოს არჩეულ ახალბედას დუელს ისეთი ვარსკვლავი, როგორიც დომანტას საბონისია, რა თქმა უნდა, მოუგებს. მწვრთნელი ბუდენჰოლცერი სანდროს უფრო იმიტომ ათამაშებს, რომ გუნდს ტრავმების გამო საკადრო პრობლემები აქვს. არადა, მამუს სჭირდება მნიშვნელოვანი განვითარება, რომ გამოცდილ ვარსკვლავებს ტოლ-სწორად დაუდგეს.

როცა ბობი პორტისი, სემი ოჯელეიე და ბრუკ ლოპესი მწყობრში იქნებიან, სანდროს დროც კიდევ უფრო შემცირდება და გაუშვებენ ოშკოშში, სადაც ვისკონსინ ჰერდში ითამაშებს. იქ კი მისი დონის კალათბურთელების წინააღმდეგ დროს გასავითარებლად აუცილებლად მიიღებს. ჯეი ლიგის დაწყების შემდეგ ბაქსის ფანები სეზონის განმავლობაში მამუკელაშვილს ნაკლებად უნდა ელოდონ.

დაიწერა, რომ მამუკელაშვილი „ღარიბების იოკიჩია“ და ეს სიმართლეს ჰგავს. მას შეუძლია დრიბლინგი, პასი, სროლა, შესვლები... მოკლედ, თანამედროვე „მაღალია“. მან შეიძლება მიაღწიოს იმ სიმაღლეებს, რომლებსაც ასევე მე-2 წრეში არჩეულმა ნიკოლა იოკიჩმა მიაღწია და შეიძლება – ვერ მიაღწიოს. მხოლოდ დრო გაგვცემს პასუხს ამ კითხვაზე.

საბოლოო ჯამში, 4-5 წელიწადში მისგან „ოლ სტარის“ დონის მოთამაშეს ველით. სამწუხაროდ, არის შანსი, რომ ამ დონეს მიაღწევს, მაგრამ არა – როგორც მილუოკის მოთამაშე. ბაქსი ის გუნდი არ არის, სადაც უნდა განვითარდე სამომავლოდ. გუნდი საჩემპიონოა და ეს იქნება მანამდე, სანამ იანისის, მიდლტონისა და ჰოლიდეის ტრიო გუნდშია. ასე რომ, მომავალში მამუკელაშვილი, შესაძლოა, გაცვლის სუბიექტიც გახდეს. რა თქმა უნდა, ვიმედოვნებ, რომ ეს არ მოხდება და მამუს ისევე მოექცევიან, როგორც ჯორდან ნვორას და დროს მისცემენ. მაგრამ გუნდისთვის უფრო მნიშვნელოვანი იქნება ისეთი ტრეიდის განხორციელება სეზონში, რომელიც მას კიდევ უფრო გააძლიერებს ფლეი ოფისთვის.

შეგახსენებთ, რომ სანდრო მამუკელაშვილი საშუალოდ 9 წუთს თამაშობს, მისი სტატისტიკური მონაცემები კი ასეთია: 2.7 ქულა, 1.3 მოხსნა და 0.3 პასი.

მიქაუტაძით ბაზელი დაინტერესდა

ევროპულ მედიაში გავრცელებული ცნობებით, საქართველოს ნაკრებისა და ბელგიური სერენის 21 წლის თავდამსმენელ გიორგი მიქაუტაძით შვეიცარული ბაზელია დაინტერესებული.

ქართველ ფორვარდს ბრაზილიელი თავდამსმენელის არტურ კაბრალის შემცვლელად მოიაზრებენ, რომლის ტრანსფერით იტალიური მილანია დაინტერესებული.

მიქაუტაძემ მიმდინარე ბელგიის იუპილერლიგაში 5 გოლი გაიტანა, ქვეყნის თასზე კი ლოკერენთან მატჩში ჰეთ თრიკით გამოირჩა.

რაც შეეხება ბაზელს, 12 ტურის შემდეგ ეს გუნდი შვეიცარიის ჩემპიონატის ლიდერია და მეორეადგილოსან ციურიხს 4 ქულით უსწრებს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მაღლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის. როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.

ნანა ნადარეიშვილი: მაწუხებდა დისბაქტერიოზი, პარალელურად დამეწყო თმის ცვენა, მივმართე ქალბატონ ლამარას, ჩავიტარე მკურნალობა მისი მითითებით. ორ კვირაში მქონდა იდეალური შედეგი.

ხვიჩა გოგია: კანზე მქონდა გამონაყარი, ქალბატონი ლამარას დამზადებული სითხეებით ორგანიზმი გავიწმინდე, ვიყენებდი მისივე დამზადებულ მალამოებს, შედეგი მაქვს. დიდი მადლობა ქალბატონ ლამარას.

მზია დუნდუა: მქონდა ქალური პრობლემები, მივაკითხე ქალბატონ ლამარას და ვარ უკვე გამოჯანმრთელებული. დღესაც ვაგრძელებ მკურნალობას მისი მითითებით.

მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 2. თაიგულების შედგენის იაპონური ხელოვნება; 3. რაიმეს ცვლის, განვითარების პროცესი; 4. მზის გარშემო მოძრავი მცირე ზომის ციური სხეული; 5. ჩეხეთის ფეხბურთელთა გუნდი; 6. იაპონური იეროგლიფების სახელწოდება; 8. ისტორიული ციხე-ქალაქი საგარეჯოს რაიონში; 11. სამწახნაგოვანი პირის მქონე იტალიური ხანჯალი; 14. ბალნეოლოგიური კურორტი უკრაინის კარპატებში; 15. ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 16. პროვინცია ირანში; 17. ესპანეთის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი; 19. ძვირფასი სარეწაო თევზი; 21. დრამატული ნაწარმოები; 22. ჩეხეთის დედაქალაქი.

თარაზულად: 1. კინოცენტრი იტალიაში; 5. ვახტანგ გორგასლის ვაჟიშვილი; 7. შაქრიანი დიაბეტის ძველი ქართული სახელწოდება; 9. მოძღვრება ავიაციის შესახებ; 10. ხმელთაშუა ზღვისპირეთში გავრცელებული სურნელოვანი ვაზის ჯიში; 12. იტალიური სახლების შიდა ეზო; 13. ჟანგბადის აღმომჩენი ინგლისელი ქიმიკოსი; 16. მონასტერი თეთრიწყაროს რაიონში; 17. ისტორიული სასტუმრო პარიზში; 18. ქართველი უფოლოგი; 20. ისტორიული მოედანი ლონდონში; 22. პერიოდულ გამოცემათა ერთობლიობა; 23. პოლონელი გრაფი, დიპლომატი, კომპოზიტორი; 24. აზერბაიჯანული მაწონი; 25. ხმელთაშუა და წითელი ზღვების დამაკავშირებელი ხელოვნური არხი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ვიგვამი; 2. პრუდონი; 3. ალკენი; 4. წყრთა; 5. დელაკრუა; 7. კია; 11. მზიური; 15. ვალტერი; 16. ლაქშმი; 17. ფობია; 18. აბანო; 22. მახა.

თარაზულად: 6. იგრიკა; 8. არაბული; 9. წურბელა; 10. ვახშამი; 12. მანგო; 13. არაკი; 14. მარიჯანი; 19. გულჩორა; 21. ხორუმი; 23. ბანქო; 24. ჩიბუხი; 25. ჭრიჭინა; 26. როულინგი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 2. უმეცარი; 3. ხვაშიადი; 4. იზოლატორი; 5. მზისა; 6. ასკანა; 8. ფიესტა; 11. ზვარაკი; 14. ადრენალინი; 15. დანსინგი; 16. ნობელიუმი; 17. ტაშირი; 19. ტავერნა; 21. ჩელსი; 22. წაბლი.

თარაზულად: 1. ცუცხვათი; 5. მექა; 7. ჩაფიძე; 9. ჰემატოლოგია; 10. კაზრეთი; 12. ინფანტი; 13. ანორაკი; 16. ნიკოლაძე; 17. ტიკი; 18. სტელა; 20. სინოპეკი; 22. წინდა; 23. ლებარდე; 24. უემბლი; 25. სიონი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

4 ნოემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.1576

ევრო — 3.6597

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.3016

100 რუსული რუბლი — 4.3905

ამინდის პროგნოზი 4 ნოემბრისათვის

ანსუ ფატიმ გოლი აგუეროს მიუძღვნა

ბარსელონამ ჩემპიონთა ლიგაში მნიშვნელოვანი მატჩი მოიგო კიევის დინამოს წინააღმდეგ და შეხვედრის ერთადერთი გოლი ანსუ ფატიმ გაიტანა.

ფატიმ გატანილი გოლი სერხიო აგუეროს მიუძღვნა და თქვა, რომ აგუეროს ამჟამად მხარდაჭერა სჭირდება:

– აგუერო ბევრს შრომობს და, სამწუხაროდ, მას რამდენიმე თვე ფეხბურთის გარეშე მოუწევს ყოფნა. მინდა, ის გავამხნევო და ამიტომ გატანილი გოლი მას მივუძღვენი.

კრიშტიანო რონალდუ: „ატალანტასთან მნიშვნელოვანი ქულა მოვიპოვეთ“



კრიშტიანო რონალდუმ ატალანტასთან ორი გოლის გატანა მოახერხა და თავის გუნდს მნიშვნელოვანი ფრე მოუტანა. მატჩის შემდეგ რონალდუმ განაცხადა, რომ მანჩესტერს ჯერ კიდევ ბევრი სამუშაო აქვს იმისთვის, რომ ოპტიმალურ ფორმაში ჩადგეს:

– უნდა ვაღიარო, რომ იდეალური მატჩი არ ჩაგვიტარებია, მაგრამ მთავარია, შედეგს მივაღწიეთ. ბოლომდე ვიბრძოლეთ და ეს დაგვიფასდა. ბედნიერი ვარ, რომ გუნდს ვეხმარები და გოლების გატანას ვახერხებ.

უნაი ემერი ვილიარეალის დატოვებას არ აპირებს

ვილიარეალის მთავარმა მწვრთნელმა უნაი ემერიმ განაცხადა, რომ ვილიარეალი მისი სახლია და ამ გუნდიდან წასვლას არ აპირებს, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე გუნდი ეპატიჟება.

ემერის თქმით, ის ვილიარეალში ბედნიერია:

– მინდა, ახლავე ვთქვა, რომ არსად მივდივარ და კონტრაქტის დასრულებამდე ვილიარეალში დავრჩები, თუმცა, ბედნიერი ვარ, რომ ჩემით სხვა გუნდებიც არიან დაინტერესებულნი.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

...

გამომძიებელი მოწმეს ეკითხება:

– თქვენ დაინახეთ, რომ ბოროტმოქმედი თქვენ სიდედრს ახრჩობდა და არ მიეხმარეთ?

– დიახ, მასე იყო.

– და რატომ?

– თავიდან ვიფიქრე მივხმარებოდი, მაგრამ მერე მივხვდი, რომ მარტოც გაუმკლავდებოდა და...

...

აფთიაქიდან გამოსული ქალი მთელი ქუჩის გასაგონად საკუთარ აღშფოთებას ვერ მალავს:

– ეს რა უმსგავსობაა! სამი პრეზერვატივი უფრო ძვირი ღირს, ვიდრე ერთი ქილა მურაბა! და ჯერ კიდევ უცნობია, რომლისგან უფრო მეტ სიამოვნებას მივიღებ...

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– ბიჭო, შენთვის ორი ამბავი მაქვს სათქმელი – ცუდი და კარგი და რომლით დავიწყო?

– ცუდით.

– შენი მანქანა ხევში გადაიჩეხა.

– და კარგი რაღაა?

– საჭესთან შენი სიდედრი იჯდა.

•••

ცოლი ქმარს ეუბნება:

– ძვირფასო, წამოდი, სექსით დავკავდეთ.

– მიდი, დაიწყე და ახლავე მოვალ...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

თამთა შედანია მეორე გოგონას დედა გახდა



„მის საქართველო 2012“ თამთა შედანია დედა მეორედ გახდა. მას პატარა გოგონა შეეძინა. დედა-შვილი თავს კარგად გრძნობს. ახალშობილს კირა დაარქვეს.

ინფორმაცია ამის შესახებ სოციალურ ქსელში ლამაზმანმა თავად გაავრცელა და გამომწერებს ახალშობილთან ერთად გადაღებული ფოტოც გაუზიარა.

– კეთილი იყოს შენი მობრძანება, კირა რატიანი.

თამთა შედანიას პირველი ქორწინებიდანაც გოგონა ჰყავს, რომელმაც უკვე აირჩია დედის პროფესია და სხვადასხვა დიზაინერის მიერ შექმნილი საბავშვო კოლექციების სარეკლამო ფოტოსესიებში აქტიურად მონაწილეობს.

ნოდარიკო ხუციშვილმა და მზია ორველაშვილმა „ცეკვავენ ვარსკვლავები“ დატოვეს

მომღერალმა ნოდარიკო ხუციშვილმა და მისმა მეწყვილემ მზია ორველაშვილმა „ცეკვავენ ვარსკვლავების“ პირველივე საკონკურსო ტური დატოვეს.

შოუს მეათე საიუბილეო სეზონის პირველი საღამო კონკურსგარეშე ჩატარდა. პროექტის ხელმძღვანელების გადაწყვეტილებით, „ცეკვავენ ვარსკვლავების“ ჟიურიმ კონკურსანტები კი შეაფასა, მაგრამ გავარდნის კანდიდატები არ გამოვლენილა და ყველა მონაწილე შოუში დარჩა.

მეორე საკონკურსო ტური წარუმატებელი აღმოჩნდა ნოდარიკო ხუციშვილისა და მზია ორველაშვილის, ზალიკო ბერგერისა და ხათუნა ოქიტაშვილის წყვილებისთვის. გავარდნის კანდიდატები და ყველაზე ნაკლები ქულების მფლობელები სწორედ ისინი გახდნენ, თუმცა საბოლოო ერთ წუთში მაყურებელმა გადაწყვეტილება ზალიკო ბერგერის სასარგებლოდ მიიღო და შოუდან ნოდარიკო ხუციშვილი გაუშვა.

„ცეკვავენ ვარსკვლავების“ პირველი საკონკურსო ტურის შედეგებით ყველაზე მეტი ხმა კალათბურთელმა გიგა კვენეტაძემ და მისმა მეწყვილე ირა კვიტინსკაიამ მიიღეს. მონაწილეებს აფასებდა ჟიური გოჩა ჩერტკოევის, ირაკლი მაქაცარიასა და ნინო სუხიშვილის შემადგენლობით. ნინომ ჟიურიში ბალერინა ირმა ნიორაძე შეცვალა.

დემნა გვასალიას სამოსი კვლავ ყველაზე მოდურია

ქართველი დიზაინერის დემნა გვასალიას სამოსი მსოფლიოში კვლავ ყველაზე მოდურია და პირველობის დათმობას კიდევ დიდხანს არ აპირებს.

ცნობილ მოდის ჟურნალ „ვოგი პარიზს“ სახელი გადაერქვა და „ვოგი ფრანსე“ ეწოდა. ჟურნალის სადებიუტო ნომრის გარეკანზე მსოფლიოში აღიარებული მომღერალი აია ნაკამურა დაბეჭდეს, რომელიც დემნა გვასალიას ბალენსიაგას ოტ-კუტიურ კოლექციით არის წარმოდგენილი.

ჟურნალ „ვოგი ფრანსეს“ სადებიუტო ნომერი 4 ნოემბრიდან გაიყიდება.

ეროვნული გალერეა ფიროსმანისა და ირაკლი ფარჯიანის ნამუშევრების გამოფენით გაიხსნა

დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში სარემონტო სამუშაოები დასრულდა და დამთვალიერებლისთვის გაიხსნა.

განახლებული ეროვნული გალერეა ნიკო ფიროსმანაშვილისა და ირაკლი ფარჯიანის შემოქმედების ამსახველ ნამუშევრებს დაეთმო. ნიკალას ნამუშევრების განახლებული გამოფენისთვის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის კოლექციიდან 20 ნამუშევარი შეირჩა, რომლებიც მხატვრის შემოქმედების ფართო ჟანრობრივ დიაპაზონს წარმოაჩენს.

ირაკლი ფარჯიანის გამოფენა კი დამთვალიერებლისთვის ეროვნული გალერეის ახალ გუნდთან ერთად წარმოადგინა ირაკლი ფარჯიანის სახელობის ფონდმა „ბაია გალერეასთან“ ერთად. ექსპოზიცია მოიცავს მხატვრის 80 ნამუშევარს – ფერწერას, გრაფიკას, ილუსტრაციას როგორც სამუზეუმო, ასევე კერძო კოლექციებიდან. მათგან 30 ნამუშევარი პირველად იქნება ექსპონირებული.

ნიკო ფიროსმანაშვილისა და ირაკლი ფარჯიანის ნამუშევრების დათვალიერება მსურველებს მომავალი წლის პირველ თებერვლამდე შეეძლებათ.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

მამაკაცმა გამყიდველის რჩევას ყური უგდო და გამდიდრდა

ამერიკის მიჩიგანის შტატის ქალაქ ვესტლანდის მკვიდრმა ლატარიაში ჯეკპოტი მოხსნა და მას შემდეგ გამდიდრდა, როდესაც გამყიდველის რჩევას დაემორჩილა და ბილეთები შეიძინა.

– რეგულარულად შევდივარ მაღაზიაში, თუმცა, ჩვეულებრივ, ლატარიას არ ვთამაშობ. გამყიდველს ველაპარაკე და მან მითხრა: „ეს შენი ბედნიერი დღეა, ბრიუს! შენ უნდა სცადო“. ვუპასუხე, რომ მის რჩევას გავითვალისწინებდი და ასეც მოვიქეცი, ხუთი ბილეთი ვიყიდე, – განაცხადა 69 წლის ბრიუს იუდიცკიმ.

მის ბილეთში გათამაშებაში ამოსული ხუთივე რიცხვი დაემთხვა. გამყიდველის რჩევის შედეგად ნაყიდმა ბილეთმა ის მდიდარ ადამიანად აქცია. ახლა მამაკაცი სიცოცხლის ბოლომდე ყოველწლიურად 25 ათას დოლარს მიიღებს.

– მეორე დღეს დამირეკეს და ბილეთის მაღაზიაში მიტანა მთხოვეს. თავდაპირველად ვიფიქრე, რომ რაღაც ისე არ იყო, მაგრამ როდესაც იქ მივედი, მითხრეს, რომ მომგებიანი ბილეთი გაყიდეს და დარწმუნებული იყვნენ, რომ ის მყიდველი მე ვიყავი. საკუთარ ყურებს არ ვუჯერებდი, – განაცხადა იღბლიანმა ამერიკელმა.

ის აპირებს მოგებული თანხით დაფაროს გადასახადები და იზრუნოს ოჯახზე.

– ყოველთვის ვფიქრობდი, რომ როდესაც პენსიაზე გავიდოდი, თბილ მხარეში გადავიდოდი საცხოვრებლად, ვიყიდიდი სპორტულ ავტომობილს. შემდეგ პაპა გავხდი და ყველაფერი შეიცვალა. მაგრამ არაფრის შეცვალა არ მსურდა. მოუთმენლად ველი იმ მომენტს, როდესაც ოჯახთან ერთად მოგებით დავტკბები, – ხაზგასმით აღნიშნა მამაკაცმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

4 ნოემბრისათვის

ვერძი – იღბლიანი დღეა, განსაკუთრებით კი – პროფესიონალიზმის სრულყოფისა და ცოდნის არეალის გასაფართოებლად. დღის მეორე ნახევარში გეგმები გეცვლებათ. **კურო** – წარმატებას მოგიტანთ მიზანდასახულობა და საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომა. ერიდეთ დოკუმენტების გაფორმებას. **ტყუპები** – რთული დღეა. ნუ იაქტიურებთ და სხვის საქმეებში ნუ ჩაერევით. პროვოკატორებს არ აპყვეთ. **კირჩხიბი** – ნუ იჯიუტებთ და კოლეგებისა და ახლობლების მიმართ ლოიალობა გამოიჩინეთ. **ლომი** – ფინანსური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ. კეთილისმყოფელი დღეა კარიერული წინსვლისათვის. **ქალწული** – მოაგვარეთ ყოფითი პრობლემები. სამსახურში უფროსობა გწყალობთ. **სასწორი** – თავს კარგად გრძნობთ. სულიერი წონასწორობა შენარჩუნებულია. საღამოს მოსალოდნელია მსუბუქი დეპრესია. **ღრიანკალი** – პროვოკაციული დღეა, რომელსაც უფრო ამწვავებს არასასიამოვნო ინფორმაცია. ინტრიგანებს ერიდეთ. **მშვილდოსანი** – გელით კამათი პარტნიორთან. თავი შეიკავეთ მკვეთრი გამონათქვამებისაგან. იყავით დამთმობი. **თხის რქა** – ახალი ნაცნობობა გიქადით სასიამოვნო შეგრძნებებსა და საინტერესო საღამოს. ერიდეთ შეცდომის დაშვებას სამსახურში. **მერწყული** – კეთილისმყოფელი დღეა იდეების ხორცშესხმისათვის. ეცადეთ, სიტუაცია ადეკვატურად შეაფასოთ. **თევზები** – საქმისადმი კეთილგონივრული მიდგომა წარმატების საწინდარია. თქვენი გეგმების შესახებ ნურავის უამბობთ.

გისუჩვებთ ბედნიერ დღეს!

ჯვარედინი ↄ



შვეულად: 1. სამონასტრო კომპლექსი შიდა ქართლში; 2. თავისუფალ გლეხთა კატეგორია ძველად საქართველოში; 3. ზუსტი ხელსაწყოების წარმოებაში გამოყენებული რკინისა და ნიკელის შენადნობი; 4. ჩეხური საავტომობილო კომპანია; 5. მსხვილი საკარმიდამო მამული არგენტინაში; 7. მაღალმთიანი სოფელი სტეფანწმინდის რაიონში; 11. ყველაზე დიდი ტბა ეგვიპტეში; 15. ადმინისტრაციული ორგანო სახელმწიფოში; 16. ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობა; 17. ავტოდრომი იტალიაში; 18. ესპანეთის კუნძული ხმელთაშუა ზღვაში, პოპულარული საკურორტო ზონა; 20. ვრცელი, ბალახოვანი, უტყეო ბუნებრივი სივრცე; 22. ფულის ერთეული ალბანეთში.

თარაზულად: 6. ესპანეთის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი; 8. უკრაინის მმართველთა ტიტული ძველად; 9. წინასწარ დამუშავებული გეგმა; 10. ხელოვნური ბოჭკოვანი ქსოვილი; 12. დაბალი ხარისხის ალმასი; 13. ჰოლივუდის კინორეჟისორი, სცენარისტი, მსახიობი მამაკაცი; 14. გერმანული ბულდოგი; 19. პოლონეთის პირველი პრეზიდენტი; 21. შვედი გამომგონებელი, მრეწველი, საერთაშორისო პრემიის დამფუძნებელი; 23. ციხე-სიმაგრე გერმანიის ქალაქებში ძველად; 24. სტადიონი მეხიკოში; 25. ნიდერლანდური ელექტროტექნიკური კომპანია; 26. სახლის სხვენში მოწყობილი საცხოვრებელი სათავსო.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა